აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს „ევროპული სკოლის“

„ამერიკული უმაღლესი სკოლის“

საგანმანათლებლო პროგრამა

საბაზო-საშუალო საფეხური

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური

წევრები:

ნანა მონიავა

Click here to enter text.

თბილისი

2021

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს „ევროპული სკოლის“ „ამერიკული უმაღლესი სკოლა“
დაწესებულების სახე	**კერძო სამართლის სუბიექტი**
საიდენტიფიკაციო კოდი	**205172917**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	ამერიკული უმაღლესი სკოლა American High School (AHS)
პროგრამის საფეხური (ზოგადი განათლების საფეხური)	VIII-XII კლასების საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების ადგილ(ებ)ი (ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სასწავლო კორპუსის N (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქ. თბილისი, ირინე სხირტლაძის ქუჩა N 2, 0177, საქართველო
პროგრამის სტატუსი (ახალი/ავტორიზებული/აკრედიტებული) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ:

შპს ევროპულ სკოლაში დანერგილი ამერიკული უმაღლესი სკოლა სასწავლო პროგრამას ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული ,,საერთო ძირითადი სტანდარტებსა“ (Common Core State Standards) და ,,მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტებზე“ (Next Generation Science Standards) დაყრდნობით.
Common Core State Standards -ით სწავლება მიმდინარეობს აშშ-ს 41 შტატში, კოლუმბიის ოლქში და ამერიკის იურისდიქციის ოთხ ტერიტორიაზე. ასევე აშშ-ს თავდაცვის საგანმანათლებლო საქმიანობის დეპარტამენტი (DoDEA) აღნიშნულ სტანდარტებს მსოფლიოს მასშტაბით არსებული საკუთარი სკოლების სასწავლო გეგმის საფუძვლად იყენებს. Next Generation Science Standards - კი მეცნიერებების სწავლების ყველაზე ფართოდ გავრცელებული სტანდარტებია აშშ-ში, რომლებიც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ახალ, XXI საუკუნის გამოწვევებზე მორგებულ მიდგომებს ითვალისწინებს.

პროგრამის მიზანია: ქართველი და უცხოელი მოსწავლეებისთვის ამერიკული განათლების საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების შეთავაზება.

პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის მიზნებს.

2013 წელს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მააკრედიტერებელი ორგანიზაციის „AdvancED Education, Inc.“-ის (ამჟამად რეგისტრირებულია, როგორც „Cognia, Inc.“) North Central Association of Colleges and Schools-ის (სკოლებისა და უნივერსიტეტების ჩრდილოეთის და ცენტრალური შტატების ასოციაცია) აკრედიტაციის კანდიდატი სკოლა, 2015 წლის ივნისში კი მიიღო სრული აკრედიტაცია. სკოლის რეაკრედიტაცია მოხდა 2020 წლის თებერვალში, ხუთწლიანი ვადით.
ამერიკული უმაღლესი სკოლის კურიკულუმი დაფუძნებულია ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი საფეხურის სტანდარტებზე. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს საუნივერსიტეტო დონის Advanced Placement (AP) საგნების დიდი რაოდენობით არჩევანს. 2015 წლიდან ამერიკული უმაღლესი სკოლა არის College Board-ის (კოლეჯ ბორდი - მოსწავლეთა საუნივერსიტეტო მომზადების, განათლების მუშაკებისა და სკოლების განვითარების მისიაზე ორიენტირებული ორგანიზაცია) ოფიციალური წევრი.
2020 წელს, Cognia-ს წარმომადგენლების რეაკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ სკოლამ მიიღო ანგარიში, რომელშიც დეტალურად იყო შეფასებული სკოლაში მიმდინარე პროცესები.

შეფასების კომპონენტების უმეტესობაში, Cognia-ს მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, სკოლას უმაღლესი ქულა მიენიჭა. ეს კომპონენტებია: მისია და მიზანი, პოლიტიკის ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობებისა და ფუნქციება/მოვალეობების განაწილება, სწავლა-სწავლების პროცედურები, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, პოზიტიური სასწავლო გარემო, მაღალი მოლოდინების ჩამოყალიბება სწავლებისას, სტანდარტებთან შესაბამისობა, საუნივერსიტეტო ორიენტაცია, მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა, შეფასების პროცესი, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, პერსონალის კვალიფიციურობა და პროფესიონალიზმი, რესურსებით უზრუნველყოფა და სტრატეგიული დაგეგმვა.
ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული ,,საერთო ძირითადი სტანდარტებსა“ (Common Core State Standards) და ,,მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტების“ (Next Generation Science Standards) შესწავლით, ასევე ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამების გაცნობით შეგვიძლია დავასკვნათ , რომ პროგრამა არ ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ძირითად შემთხვევაში თავსებადია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

შპს ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 2021 წლის 6 და 7 ივლისს. ექსპერტები დეტალურად გავეცანით სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. დამაზუსტებელ კითხვებზე პასუხის მიღების მიზნით ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა სასკოლო საზოგადოების წევრებთან, სასწავლო გეგმის შემუშავებაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება/ინტერვიუირება. ასევე განხორციელდა ონლაინ შეხვედრა მე-8 - მე-12 კლასის მოსწავლეებთან და მოსწავლეთა მშობლებთან.

ვიზიტის დროს შენობა-ნაგებობების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა ვირტუალურად 3D -ტურის მეშვეობით.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

რჩევები (არსებობის შემთხვევაში)

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. მოსწავლეების მიღწევები, მათთან	☒	☐	☐	☐

ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ლელა ფიცხელაური (თავმჯდომარე)
2. ნანა მონიავა (წევრი)

პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1. საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულების მისიაში ასახული საერთო პრინციპებისა და პრიორიტეტების, ასევე ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე მიმართულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე, ითვალისწინებს ამ მიზნის მიღწევის გზებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ,,ევროპული სკოლის ამერიკული უმაღლესი სკოლის“ სასკოლო გეგმა თანხვედრაშია სკოლის მისიასთან და ითვალისწინებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის გზებს. ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამა სრულად იზიარებს და ახორციელებს სასკოლო ცხოვრებაში „ევროპული სკოლის“ მისიაში გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს. სკოლის მისიის თანახმად: ,,ევროპული სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები. სკოლის ღირებულებებია:

ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია "ევროპული სკოლის" ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. სკოლისთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც მისი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

• ინოვაციის გზით სვლა;
• სწრაფვა სრულყოფილებისკენ;
• განვითარება სწავლის საშუალებით;
• გლობალური მოქალაქეობა.

ამ ძირეული ღირებულებებით სკოლა წაახალისებს დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გაითავისონ პასუხისმგებლობა. "ევროპულ სკოლაში" სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები.

სკოლა იღწვის, რათა:

• შევქმნას ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;
• განავითაროს და გააძლიეროს მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში;
• ყურადღებას ამახვილებს აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე;
• ხელს უწყობს მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას" .

ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამა, თავის მხრივ გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან.

ამ მიზნების მიღწევის საშუალებაა:

1. ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო 2020-2021 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც ამერიკული განათლების სისტემის საუკეთესო გამოცდილებებს იზიარებს და დაფუძნებულია აშშ განათლების სტანდარტებზე - "Common Core State Standards" (საერთო ძირითადი სტანდარტები) და "Next Generation Science Standards" (მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტები);

2. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები - CIS-ისა (საერთაშორისო სკოლების საბჭო) და Cognia-ს აკრედიტაცია, რომელიც გამოიყენება მუდმივი განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს Cognia-ს რეაკრედიტაციის დროს შეფასების ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულებაში არსებულ პროცესებზე, პროგრამებზე და პრაქტიკაზე, დასკვნის გამოსატანად. დასკვნები დამყარებულია საკითხებზე, მტკიცებულებებზე, პროგრამების და პრაქტიკის მაგალითებზე და იძლევა შეხედულებას დაწესებულების მუდმივი გაუმჯობესების საჭიროებებზე. სააკრედიტაციო მიმოხილვის დასკვნაში მოცემული უკუკავშირი დაეხმარა ორგანიზაციას გაუმჯობესების ზომების შემუშავებაში და გეგმების ადაპრტირებასა და კორექტირებაში. Cognia-ს რეაკრედიტაციის შედეგად ამერიკულმა უმაღლესმა სკოლამ მიიღო შეფასება 3.45 მაქსიმალური 4.0-დან;

3. მზრუნველობით აღსავსე გარემო, სადაც თითოეული მოსწავლის კეთილდღეობა, მისი ჰოლისტიკური განვითარება არის არსებითი და ამოსავალი პრინციპი. სწორედ მოსწავლეთა კეთილდრეობაზე ზრუნვას ემსახურება სკოლის სტრუქტურული ერთეული ,,მოსწავლეთა კეთილდრეობის სამსახური", რომელსაც დებულებით (დამტკიცებული დირექტორის მიერ

22.04. 2021; ბრძანება № 1-12) განსაზღვრული აქვს ფუნქციები: მოსწავლეთა ინდივიდუალური პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეთა პრობლემების დიაგნოსტიკა და მათი დახმარებისთვის პირობების შექმნა; სწავლისადმი და თვითგანვითარებისადმი მყარი მოტივაციის განვითარების ხელშეწყობა...“

ამერიკულ უმაღლეს სკოლაში შექმნილია აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემო, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან არა მარტო საშუალო სკოლის საგნებს, რომლებიც ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში (1. ინგლისური ენა; 2. მათემატიკა; 3. ქართული ენა ;4. უცხოური ენები; 5. საზოგადოებრივი მეცნიერებები; 6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 7.ტექნოლოგიები; 8. სპორტი), არამედ ახორციელებენ კვლევით პროექტებს, გადიან სტანდარტიზებული ტესტებისთვის (SAT) მზადებას. X-XII კლასის მოსწავლეები დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით ირჩევენ საუნივერსიტეტო დონის სასწავლო კურსს (Advanced Placement – AP).

2019-2020 სასწავლო წლიდან ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ პროგრამებს დაემატა **Capstone სადიპლომო** პროგრამა 11 და 12 კლასებში, რომელიც მოიცავს 4 AP საგანს და სემინარის (AP Seminar) , ასევე კვლევის (AP Research) ორწლიან პროგრამას.

ვიზიტის პერიოდში გავეცანით წლების სტატისტიკას, კურსდამთავრებულთა ჩაბარებებისა და მოპოვებული დაფინანსებების მაჩვენებლებს, რის საფუძველზეც შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამით მიღებული კვალიფიკაციები ზრდის ამერიკული უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო არენაზე და აქცევს მათ სასურველ კანდიდატად მსოფლიო უნივერსიტეტებში მიღების პროცესში.

უწყვეტი განათლების, ახალი ცოდნის შეძენის, მუდმივი განვითარებისკენ სწრაფვა- ეს მიდგომები ამერიკულ უმაღლეს სკოლაში ნათლად ჩანს, როგორც მოსწავლეთა და მასწავლებელთა, ასევე - ადმინისტრაციულ გუნდში.

მუდმივი განვითარების ტენდენციას აქ სისტემატიზირებული სახე აქვს, რაც გულისხმობს:

- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების პროგრესის მონიტორინგს MAP (Measure of Academic Progress - აკადემიური პროგრესის საზომი) გამოცდების საშუალებით წელიწადში სამჯერ: შემოდგომით, ზამთარში და გაზაფხულზე.
- მოსწავლეთა რეფლექსიას საკუთარ სწავლაზე, გაუმჯობესების გზების დასახვას და განხორციელებას.

ამერიკული უმაღლესი სკოლის მასწავლებლებიც და ადმინისტრაციული გუნდის წევრებიც ჩართულები არიან უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემებში სკოლის, ქვეყნის თუ საერთაშორისო მასშტაბით.

სკოლას (20.11.2019; ბრძანება №1-300) შექმნილი და მასწავლებლის სახლთან შეთანხმებული აქვს (09.06.2021. MES 2 21 0000541185) "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, სტატუსის მიმიჭებისა და შენარჩუნების წესი", რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აქტივობები.

თანამედროვე, ტექნოლოგიურად სწრაფადგანვითარებად სამყაროში ამერიკული პროგრამის ფარგლებში სკოლა მოსწავლეებისათვის ცდილობს სკოლის ასაკიდანვე ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარებასა და თანამედროვე ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა და პროგრამებზე წვდომის ხელშემწყობი პირობების შექმნას. ამერიკულ

უმაღლესი სკოლაში ონლაინ სწავლებამდე გაცილებით ადრე დაიწყო სასწავლო რესურსების და პროცესების გაციფრულება, სკოლის ციფრული ტრანსფორმაციის გეგმის თანახმად (დამტკიცებული დირექტორის მიერ 29.07.2020 ; ბრძანება № 1-36/1), აქტიურად მიმდინარეობდა მასწავლებელთა ტრენინგების ორგანიზება მათი ციფრული კომპეტენციების განვითარების მიზნით, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პროცესის წარმატებით განხორციელებას. სკოლას შექმნილი აქვს ციფრული ტრანსფორმაციის მუდმივმოქმედი კომიტეტის ვებგვერდი:
https://sites.google.com/europeanschool.ge/newsletters/introducation.

ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეები ეუფლებიან პროგრამირებას, Microsoft და iOS ოპერაციულ სისტემებს, რაც მათ ეხმარება, ინტერესებიდან გამომდინარე, ვებგვერდის, საგანმანათლებლო თამაშებისა თუ სხვა ციფრული პროდუქტის შექმნაში. მოსწავლეები იღებენ STEM განათლებას, რისთვისაც შესაბამისი სივრცეებია სკოლაში. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში FabLab მოსწავლეები ახორციელებენ თავიანთ იდეებს, თანამედროვე დანადგარებით ქმნიან საკუთარი ბიზნეს პროდუქტების პროტოტიპებს და ცხოვრებაში ნერგავენ სამეწარმეო იდეებს.

STEM განათლებას ისინი სკოლის კედლების გარეთაც იღებენ. ამერიკული უმაღლესი სკოლის ორგანიზებით, მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი „ევროპული სკოლის“ STEM-ის პედაგოგებთან ერთად იმყოფებოდა აშშ STEM-ის ბანაკში, სადაც მოზარდებმა და მასწავლებლებმა საინტერესო გამოცდილება შეიძინეს, ახალი იდეები და პრაქტიკები კი მოგვიანებით სკოლაშიც დანერგეს.

ამერიკული უმაღლესი სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის განვითარებას. აქ მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი საქმიანობის კუთხით დაგეგმილ აქტივობებსა და კამპანიებში. მოსწავლეები აცნობიერებენ საზოგადოებრივ პასუხისმგელობას, გარემოზე ზრუნვის აუცილებლობას და არაერთ გარემოსდაცვით თუ სოციალურ პროექტში მონაწილეობენ ქვეყნის თუ მსოფლიოს მასშტაბით.

ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეები „ევროპული სკოლის“ მულტიკულტურულ გარემოში სწავლობენ განსხვავებული კულტურის პატივისცემას, ტოლერანტობას. სკოლაში სწავლობს 35-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი. ინტერკულტურული სწავლება, გლობალური მოქალაქეობის ხელშეწყობა ამერიკული უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმის, კლასგარეშე ღონისძიებების პრიორიტეტული პრინციპია.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამა დაწესებულების მისიაში ასახული საერთო პრინციპებისა და პრიორიტეტების, ასევე ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე მიმართულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე, ითვალისწინებს ამ მიზნის მიღწევის გზებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპული სკოლის მისია
- ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის გზამკვლევი
- ამერიკული უმაღლესი სკოლის პრეზენტაცია
- ღია კარის დღის პრეზენტაცია
- ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის სამოქმედო გეგმა

- არჩევითი და სავალდებულო საგნების ჩამონათვალი (AP საგნების სია)
- ტექნოლოგიური გეგმა
- ES STEAM განათლება - ფაბლაბი
- სკოლის და პროგრამის პრომო მასალა
- ევროპული სკოლის შინაგანაწესი
- CIS და Cognia აკრედიტაციის სერთიფიკატები
- ევროპული სკოლის ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების შესაბამისი საფეხურისათვის უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამერიკული უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომლებსაც მოსწავლე იძენს პროგრამის განხორციელებისას. საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, შეიძინოს ფართო ცოდნა, გამოიმუშავოს პრაქტიკული და კვლევითი უნარები.

წინასწარ შემუშავებული და განხორციელებული სასწავლო გეგმები გადაიხედება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. სასწავლო წლის შეჯამების საფუძველზე ხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, სახელმძღვანელოებისა და რესურსების შერჩევა, პროგრამის და კლასგარეშე ღონისძიებების მიზნების მისაღწევი აქტივობების, პროფესიული განვითარების ქმედებების განსაზღვრა, პროფესიული განვითარების ღონისძიებების დადგენა, სილაბუსების, ვერტიკალური, ჰორიზონტალური დაგეგმვა და გაკვეთილების გეგმების გადახედვა-გადამუშავება, შესწორებების შეტანა კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების განხორციელებას ხელს უწყობს "ევროპულ სკოლაში" არსებული საგნობრივი დეპარტამენტები (შვიდი დეპარტამენტი), რომლებიც მონიტორინგს უწევენ მთელ სასწავლო პროცესს.

ამერიკული უმაღლესი სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სკოლის საგნობრივ დეპარტამენტებთან შემდეგ საკითხებში: სწავლების კოორდინირება, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

პროგრამის მიზნების მიღწევისთვის ამერიკული უმაღლესი სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა ციფრულ რესურსსა და პროგრამას. საგნობრივ დეპარტამენტებს შექმნილი აქვთ საგნობრივ-სპეციფიკური რესურსების ბანკები.

ამერიკული უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები დაყოფილია ორ ეტაპად: VIII კლასში მისაღწევი და საშუალო სკოლის (ამერიკული განათლების სისტემით - IX-XII კლასები) მიზნები.

მერვე კლასის პროგრამის მიზანია მოამზადოს ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეები ინგლისურ ენაზე სასწავლებლად, მიაჩვიოს ისინი ამერიკული უმაღლესი სკოლის შეფასების სისტემასა და სწავლების მეთოდებს და გამოუმუშავოს სწავლების შემდგომ საფეხურზე წარმატების მისაღწევად აუცილებელი უნარები.

IX-XII კლასები ამერიკული შეერთებული შტატების სისტემით განიხილება საშუალო სკოლის საფეხურად. ამ საფეხურზე ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის მიზნებია: სისტემური ცოდნის კონსტრუირება საგნების გაღრმავებულად სწავლების შედეგად და ცოდნის მაძიებელი, მოაზროვნე ინდივიდის ჩამოყალიბება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება სწავლის შემდგომ საფეხურზე და რომელსაც შეეძლება საკუთარი ცოდნის და უნარების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია: 2 ჯუნიორ (Junior Projects) (3500 სიტყვიანი) და სენიორ (Senior Project) (5000 სიტყვიანი) პროექტის მომზადება მე-11და მე-12 კლასებში. თითოეულ მოსწავლეს მოეთხოვება თავისი ინტერესის სფეროს

მიხედვით, კვლევითი ნაშრომის დაწერა და შემდეგ მისი საჯარო დაცვა. პროექტები მოსწავლეებს უყალიბებენ ანალიტიკურ აზროვნებას და უვითარებენ კვლევის უნარს.
სააკრედატაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თითოეულ საგანში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა. თითოეული საგნის სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში ინტერკულტურული განათლებისა და გლობალური მოქალაქეობის განვითარებას.
პროგრამა არ ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ექვემდებარება ადაპტირებას ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით. ამერიკულ უმაღლეს სკოლაში სწავლების ენა ინგლისურია. ქართულად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია.

<u>ქართული ენა</u>

ქართული ენა და ლიტერატურა სავალდებულო საგანია ევროპული სკოლის ამერიკული უმღლესი სკოლის სასწავლო ბადეში (ისწავლება VIII-XII კლასებში), ყველა კლასში საგანს ეთმობა კვირაში 5 საათი. სკოლაში შესასწავლი მასალა ქართულ ენასა და ლიტერატურაში მთლიანად მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამას.
მასალა VIII კლასში შეთავაზებულია თემატური ბლოკების სახით. თემატური ბლოკები შემოსაზღვრავს ზოგად შინაარსობრივ კონტექსტებს და საფუძველს ქმნის სტანდარტის შედეგების მიღწევისთვის. თითოეული თემატური ბლოკი მოიცავს შესაბამის სასწავლო თემებს, განსაზღვრულს ლიტერატურის უნივერსალური მოტივების (/თემების) გათვალისწინებით. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.
საბაზო საფეხურზე, შესაბამისად, IX კლასშიც, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეები შეისწავლიან სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებს (ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას, არამხატვრულ ლიტერატურას და სხვ.). სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.
X კლასში მოსწავლეები გადიან ძველ ქართულ ლიტერატურას. ამ კურსის გავლისას სტუდენტები ეცნობიან ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ჟანრებს და სპეციფიკას; უწევთ მუშაობა ძველ ქართულ ლექსიკაზე; ნაწარმოებები ქრონოლოგიურადაა დალაგებული V საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით.
XI კლასში მოსწავლეები შეისწავლიან XIX საუკუნის ლიტერატურას, რაც მოიცავს რომანტიზმსა და რეალიზმს ქართულ ლიტერატურაში. შესაბამისად, აუცილებელია გაეცნონ არა მარტო ავტორებს და მათ შემოქმედებას, არამედ ამ ორი დიდი მიმდინარეობის როლს და ადგილს მსოფლიო კულტურაში, წარმოშობის მიზეზებს. აუცილებელი კონკრეტული ავტორის არა დამოუკიდებლად, არამედ სწორედ ეპოქის სოც-პოლიტ-კულტურულ სივრცეში განხილვა, გათვალისწინება მსოფლიოში მიმდინარე კულტურული პროცესებისა და ამ კონტექსტის გათვალისწინებით მათი შემოქმედების შესწავლა-ანალიზი.

XII კლასში მოსწავლეები შეისწავლიან XIX საუკუნის ბოლო ათწლეულის და XX საუკუნის ლიტერატურას. XII კლასში ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა წინა კლასებში. XII კლასში მოსწავლემ უნდა იკვლიოს და გააანალიზოს მსგავსი ან ერთნაირი პრობლემა სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ტექსტებში, კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტში განვითარებულ კონფლიქტსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე.
ქართულს, როგორც მეორე ენას, სწავლობენ ის მოსწავლეები, რომელთათვისაც ქართული არ წარმოადგენს მშობლიურ ენას.

<u>ინგლისური ენა და ლიტერატურა</u>

ინგლისური ენა და ლიტერატურა წარმოადგენს სავალდებულო საგნობრივ ჯგუფს და მასში შედის ორი საგანი - აკადემიური წერა და ინგლისური ლიტერატურა. აკადემიური წერა და ინგლისური ლიტერატურა ისწავლება VIII-XII კლასებში. საგნების მიზანია განუვითაროს მოსწავლეს ინგლისურ ენაზე წერითი და ზეპირი კომუნიკაციის და აზროვნების უნარები, და მისცეს მას მსოფლიო ლიტერატურის ცოდნა. საკლასო დისკუსიების, კითხვის და მრავალფეროვანი წერითი დავალებების საშუალებით მოსწავლეები კიდევ უფრო აღრმავებენ მათ მიერ შესწავლილი მასალის ცოდნას. საკლასო დისკუსიების დროს მოსწავლეებს მოეთხოვებათ სათანადო ლექსიკის მართებული გამოყენება.
VIII კლასში მოსწავლეები იწყებენ ლიტერატურულ ნაწარმოებში რთული ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და მორალური თემების შესწავლას. სასწავლო წელი იწყება ამერიკის ქალაქისა და სოფლის გარემოს შესწავლით როგორც ლიტერატურულ ისე ისტორიულ კონტექსტში. მოსწავლეები განიხილავენ მოცემული ნაწარმოების ძირითად თემატიკასა და მასში განვითარებული მოვლენების მიმართებას და კავშირს ამ ნაწარმოების მოქმედების ადგილთან და პერიოდთან. შემდგომ ეტაპზე მოსწავლეები განიხილავენ პოეზიის სტრუქტურას და მის შინაარსს ინსტორიულ ჭრილში. საკლასო დისკუსიების, კითხვის და მრავალფეროვანი წერითი დავალებების საშუალებით მოსწავლეები კიდევ უფრო აღრმავებენ მათ მიერ შესწავლილი მასალის შესახებ ცოდნას. საკლასო დისკუსიების დროს მოსწავლეებს მოეთხოვებათ სათანადო ლექსიკის გამოყენება.
წერით ასპექტში, მოსწავლეები ეცნობიან ენის გრამატიკულ თავისებურებებს და მართლწერის წესებს. ისინი სწავლობენ თეზისის ჩამოყალიბებას შესაბამისი არგუმენტების მოყვანით. კვირის განმავლობაში მოსწავლეები წერენ სულ მცირე 2 არგუმენტირებულ ან ნარატიულ ესეს რომელიც ეხება როგორც გლობალურ ასევე კულტურულ თემებს და იღებენ დეტალურ უკუკავშირს მასწავლებლისგან წერილობითი რეკომენდაციის სახით.

IX კლასში კურსი მოიცავს როგორც ამერიკული მწერლობის ნიმუშებს მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ირგვლივ, ასევე რუსული ლიტერატურის რამოდენიმე ეპოქისეულ ნაწარმოებს. კურსში შესულია, აგრეთვე, რენესანსის ეპოქის (მაგ: შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“) და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის შედევრები. ამ კურსის კურიკულუმში შესული ინფორმაციული ტექსტების მიხედვით მოსწავლეებს აქვთ საშუალება გაანალიზონ ისტორიული ფაქტები და მათი ლიტერატურული ანალოგები. წერით ასპექტში, მოსწავლეები ეცნობიან ენის გრამატიკულ თავისებურებებს და მართლწერის წესებს. სასწავლო სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეები ხვეწენ ტექსტის მხატვრულად გააზრებისა და წერით უნარებს. სტუდენტები წერენ ანალიტიკურ თუ მხატვრულ ესეებს.

X კლასში ისწავლება სხვადასხვა ჟანრის პოეზია და პროზა, თხზულებები და პუბლიკაციებს. კურსი სტუდენტებს სთავაზობს მრავლისმომცველ ლიტერატურულ სიმდიდრეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, პერიოდისა და სირთულის კატეგორიით. სასწავლო

სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეები ხვეწენ ტექსტის მხატვრულად გააზრებისა და წერით უნარებს.
წერილობით ასპექტში მოსწავლეები მუშაობენ შემდეგზე: არგუმენტირებული ესე, მხატვრული ესე, ნარატიული ესე, კრიტიკა, ანალიტიკური მსჯელობა, კვლევითი ანალიზი. მოცემული დისციპლინა მოსწავლეებს ეხმარება განავითარონ კრიტიკული აზროვნება და სამსჯელო საკითხი გადმოსცენ წერილობითი ფორმით, შესაბამისი აკადემიური წლის (კურსის) სირთულის გათვალისწინებით.
კურსი ასევე მოიცავს რიგით გრამატიკულ საკითხებს რომელიც უცხო ენის სპეციფიურ თავისებურებებზეა გათვლილი, ამგვარად მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ დახვეწონ და განავითარონ ენობრივი რესურსი.

X კლასში კურსი მოიცავს ამერიკული მწერლობის ნიმუშებს კოლონიალიზმის პერიოდიდან დაწყებული გვიანი მეოცე საკუნის ჩათვლით. კურსში შესულია, აგრეთვე, რენესანსის ეპოქის და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის შედევრები. ამ კურსის სილაბუსში შესული ადრეული ამერიკული ლიტერატურის ნიმუშები შეიცავს აგრეთვე დღიურებს, წერილებს, ქადაგებებს და ალმანახებს. შესაბამისად, მოსწავლეებს აქვთ საშუალება გაანალიზონ ისტორიული და ინფორმაციული ტექსტები . მოსწავლეები მსჯელობენ ისეთ საკითხებზე როგორიცაა : "ორმაგი ისტორიული კონტექსტი არტურ მილერის „განსაცდელში" და სხვა. სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტებს შეუძლიათ მოძებნონ კავშირები ისტორიასთან, ხელოვნებასთან და სხვა საგნებთან.

XII კლასში შესვლისას მოსწავლეებს უკვე წაკითხული და განხილული აქვთ მსოფლიო და ამერიკული ლიტერატურის სხვადასხვა ძირითადი ჟანრის ნაწარმოებები. ამ კურსის გავლისას ისინი გაეცნობიან ევროპულ ლიტერატურას შუა საუკუნეებიდან დღემდე - ჯეფრი ჩოსერის კენტერბერიული მოთხრობებიდან დაწყებული მეოცე საუკუნის ნაწარმოებების ჩათვლით. ნაწარმოებები ქრონოლოგიურადაა განაწილებული და მოსწავლეებს შეუძლიათ დააკვირდნენ თუ რა გავლენას ახდენდა ადრეული მწერლობა მის შემდგომ მწერლობაზე და თუ როგორ ვითარდებოდა ლიტერატურული ფორმები და იდეები საუკუნეების განმავლობაში. განიხილავენ მნიშვნელოვან თემებს: მაგალითად, ურთიერთობას მიზეზსა და მისგან გამოწვეულ ემოციებს შორის მეჩვიდმეტე საუკუნის ლიტერატურაში, ხელოვნებისა და ბუნების შედარებას მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში. შექსპირის, ჯონ მილტონის და ბლეიკის, ბაირონის და სხვა ავტორთა კითხვისას მოსწავლეები სწავლობენ ინგლისური მეტრული ფორმებს და სწავლობენ მათ ზეპირად წარმოთქმას. საკლასო დისკუსიებში, აგრეთვე ესეების წერისას, ნაწარმოებებს განიხილავენ ისტორიულ კონტექსტში და მსჯელობენ მათ მორალსა და ფილოსოფიურ ასპექტებზე.
წერითი დავალებები მოიცავს ფართოფორმატიანი ესეების და კვლევების წერას. მოსწავლეები გაეცნობიან ევროპული ლიტერატურის ძირითად ნაშრომებს და მათში მოცემულ იდეებს, დახვეწენ ლიტერატურული ანალიზის და კვლევის წერის ტექნიკას.
უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი კურსი ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს.

<u>მათემატიკა</u>

მათემატიკა ისწავლება ყველა კლასში VIII-XII Cათვლით.
კურსი შეესაბამება აშშ-ში გამოყენებული ტრადიციულ მათემატიკის კურსს, რომელიც შედგება ალგებრა 1, ალგებრა 2 და გეომეტრიის კურსებისგან. კურსი მთლიანად აგებულია "ქომონ ქორის" სტანდარტების მიხედვით. სამივე ნაწილის გავლის შემდეგ, მოსწავლე სრულად იქნება მზად კალკულუსის ან სხვა საუნივერსიტეტო კურსების შესასწავლად.
VIII კლასში ისწავლება ალგებრა 1-ის კურსი და ის ფარავს შემდეგ მათემატიკურ თემებს: მოქმედებები ნამდვილ რიცხვებზე, წრფივი და კვადრატული განტოლებები, წტფივი და

კვადრატული ფუნქციები, წრფივ და კვადრატულ განტოლებათა და უტოლობათა სისტემები, მოქმედებები მრავაწევრებზე, მოქმედებები რადიკალებზე, რაციონალური განტოლებები, მონაცემთა ანალიზი და ალბათობის საკითხები.

IX კლასში ისწავლება გეომეტრია და ტრიგონომეტრია. კურსში შეისწავლება ბრტყელი ფიგურები და სივრცული სხეულები. შეისწავლება მართკუთხა სამკუთხედის და არა მართკუთხა სამკუთხედის ტრიგონომეტრია, ერთეულოვანი წრეწირის ტრიგონომეტრია. ბრტყელ ფიგურებში შეისწავლება: სამკუთხედები, ოთხკუთხედები, წრე და მისი ნაწილები. შეისწავლება ამ ფიგურების ანალიზური თვისებები. ასევე განხილულია აქიომები. სივრცულ სხეულებში შეისწავლება: პრიზმა, პირამიდა, ცილინდრი, კონუსი, ბირთვი.

X კლასში ისწავლება ალგებრა 2-ის საკითხები კურსი წარმოადგენს ალგებრა 1-ის გაგრძელებას და ის თავს უყრის წინარე ალგებრულ და ტრიგონომეტრიულ ცოდნას. კურსი ფარავს შემდეგ მათემატიკურ თემებს: რაციონალური, პოლინომიალური, ირაციონალური ფუნქციები და მათი გრაფიკები, მოქმედებები სიმრავლეებზე, ექსპონენციალური და ლოგარითმული ფუნქციები, კომპლექსური რიცხვები და მათზე მოქმედებები, მოქმედებები ხარისხებზე, ლოგარითმი და მისი თვისებები, სხვადასხვა სახის განტოლებების ამოხსნა, ტრიგონომეტრიის ზოგიერთი ფორმულა და მათი გამოყენებები, მიმდევრობები, კომბინატორიკის და ალბათობის საკითხები.

XI კლასში ისწავლება პრეკალკულუსი. კურსში შეისწავლება ყველა ელემენტარული ფუნქცია მისი თვისებები და გრაფიკი. შეისწავლება ვექტორები (სიბრტყეზე და სივრცეში), მიმდევრობები (არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები), მატრიცები და მათზე მოქმედებები, ტრიგონომეტრიის გაგრძელება, გეომეტრიული გარდაქმნები.

XII კლასში ისწავლება პრეკალკულუსის გაგრძელება. კურსში ისწავლება უკვე ნასწავლი ფუნქციების გამოყენებით სხვადასხვა რეალური ცხოვრებისეული მოდელების შექმნა. რეალურ სიტუაციებზე დაყრდნობილი ამოცანების ამოხსნა. შეისწავლება ფუნქციების ასიმპტოტური ყოფაქცევა. შეისწავლება ფუნქციების თვისებების შესწავლა. პარამეტრული განტოლებების და უტოლობების შესწავლა. შეისწავლება კომბინატორული ანალიზის საკითხები, ზოგიერთი ალბათური განაწილების შესწავლა, სტატისტიკის საკითხების შესწავლა, პარამეტრული განტოლებები და პოლარული კოორდინატები.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი კურსის ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს (თითოეული კლასის საგნის სილაბუსში წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი ესგ-თან და მითითებულია კონკრეტულად რომელი თემა რომელ ინდიკატორს შეესაბამება ესგ-დან.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული უმაღლესი სკოლის მათემატიკის პროგრამაში ისწავლება დამატებით სამი საგანი **AP Calculus AB**, **AP Calculus BC** და **AP Statistic**s მე-11, მე-12 კლასებში ეს საგნები შედგენილია და ავტორიზებულია ოფიციალურად **CollegeBoard-**ის მიერ. ეს არის საუნივერსიტეტო საგნები და მათში მოცემული საკითხები შეესაბამება უნივერსიტეტების პირველ და მეორე კურსზე შესასწავლ საკითხებს. კერძოდ **AP Calculus AB** -ში შეისწავლება დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა. ხოლო **AP Calculus BC** წარმოადგენს **AP Calculus AB-ის** გაფართოებას და აქ დამატებით შეისწავლება მწკრივთა თეორია, პოლარი კოორდინატები და პარამეტრზე დამოკიდებული ფუნქციები. **AP Statistic**s-ში შეისწავლება სტატისტიკური დასკვნების თეორია. კერძოდ აღწერითი სტატისტიკის ელემენტები, ინტერვალური შეფასებები და ჰიპოთეზათა შემოწმების საკითხები.

<u>**უცხოური ენები**</u>

1. უცხოური ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

ა) ესპანური ენა - ისწავლება VIII-XII კლასებში

ბ) ლათინური ენა - ისწავლება VIII-XII კლასებში

გ) ფრანგული ენა - ისწავლება VIII-XII კლასებში

შეთავაზებული 3 ენიდან მოსწავლეები ირჩევენ ერთ უცხო ენას.

2. უცხოური ენების სწავლებამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს სახელმწიფო ენასთან ერთად სხვა ენაზე კომუნიკაციის უნარი.

3. უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია უცხოურ ენაზე/ენებზე. ყველა სხვა საგნობრივი ჯგუფის მსგავსად, ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებას.

4. უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტები შედგენილია ენის ფლობის დონეების მიხედვით. მაგალითად: ესპანური ენის დაწყებითი სასწავლო კურსი მოიცავს სწავლების 2 წელს (VIII-IX) კლასები. ეს კურსი მთავრდება A1 დონით.

ამ კურსის ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ ანბანს, ასოთა კომბინაციას. სწავლობენ კითხვას, სწორად წარმოთქმას, ინტონაციას. ივითარებენ უნარებს როგორიცაა: კითხვა, მეტყველება და წერა. თითოეული თემის შესწავლისას მოსწავლეები გამოიმუშავებენ კომუნიკაციის ამ ფორმას. შეთავაზებული აქტივობებით ისინი სწავლობენ პრეზენტაციას და ინტერპერსონალურ კომუნიკაციას. მოსწავლეებს უვითარდებათ აზროვნების უნარი. სხადასხვა ტიპის დამატებითი მასალები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში მოსმენილის და წაკითხულის გაგების უნარების განვითარებას. ასევე მეტყველებისა და წერითი უნარების განვითარებას. შეაფასონ სხვისი ნამუშევარი და გასცენ უკუკავშირი, მოისმინონ სხვისი უკუკავშირი მათ ნაშრომზე. ისინი სწავლობენ აქტიურ მოსმენას და სხვისი აზრის დაფასებას.

საშუალო დონე- ამ კურსის ფარგლებში მოსწავლეებს ვთავაზობთ ენის სწავლებას სხვადასხვა მიმართულებით: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება. მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპის და შინაარსის ტექსტების უფრო ამომწურავად გაგება და გაანალიზება, რომელთა მოცულობა და სირთულის დონე აღემატება წინა დონის ტექსტებს. ივითარებენ კომუნიკაციის უნარებს როგორიცაა: მოსმენა, კითხვა, მეტყველება და წერა. თითეული თემის შესწავლისას მოსწავლეები გამოიმუშავებენ კომუნიკაციის ამ ოთხივე ფორმას. შეთავაზებული აქტივობებით ისინი სწავლობენ ინტერპრეტირებას, პრეზენტაციას და ინტერპერსონალურ კომუნიკაციას. მოსწავლეებს უვითარდებათ ზოგადი უნარები როგორიცაა: ანალიზის და კრიტიკული აზროვნების უნარები. ამ უნარების გასავითარებლად მოსწავლეებს ვთავაზობთ სხვადასხვა ჯგუფურ და ინდივიდუალურ აქტივობებს. სხადასხვა ტიპის დამატებითი მასალები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში მოსმენილის და წაკითხულის გაგების უნარების განვითარებას. ასევე მეტყველებისა და წერითი უნარების განვითარებას.

ყოველი თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ფასდებიან სხვადასხვა დავალებებით, რომელიც აფასებენ ამ ოთხივე ენობრივ კომპეტენციას.

მაღალი დონე - ეს კურსი მოიცავს ქვეყნის ცივილიზაციის შესწავლას: მის გეოგრაფიულ მდებარეობას, კულტურის ძეგლებს, ცნობილ ადამიანებს, მხატვრებს , მწერლებს. ესპანელი ხალხის ჩვევებს, დღესასწაულებს, სახელმწიფო წყობას მოსწავლეებს შეუძლიათ პრეზენტაციის გაკეთება ნებისმიერ თემაზე რაც შეეხება ესპანურ ცივილიზაციას. ეს კურსი აგრეთვე შეიცავს ადაპტირებული საკითხავი წიგნების კითხვას და მათ ანალიზს

<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

ამერიკულ უმაღლეს სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინებიდან სრული კურსით ისწავლება შემდეგი საგნები მსოფლიოს ისტორია, ევროპის ისტორია, ამერიკის ისტორია, სოციოლოგია, ზოგადი გეოგრაფია და საქართველოს გეოგრაფია.

მსოფლიო ისტორია გაყოფილია 3 ნაწილად და ისწავლება VIII-IX კლასებში.

ნაწილი I VIII კლასის (5 სთ.)

კურსი მოიცავს სამყაროსა და ადამიანთა განვითარების ისტორიას უძველესი დროიდან 476 წლამდე. იმავდროულად მოსწავლეები შეისწავლიან ამერიკის კოლუმბამდელ ცივილიზაციებს, რომლებიც ქრონოლოგიურად კურსის ჩარჩოს მიღმაა. კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემდეგი საკითხების შესწავლას: ცივილიზაციის საფუძვლები; პრე-ისტორია; ძველი შუა აღმოსავლეთი და ეგვიპტე; ძველი ინდოეთი და ჩინეთი; ძველი საბერძნეთი; ძველი რომი და ქრისტიანობის გავრცელება; ამერიკის კოლუმბამდელი ცივილზაციები.

კურსის განმავლობაში მოსწავლეები ასევე გააცნობიერებენ: ძველი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ხალხთა განვითარების, მათი რელიგიური ცნობიერებისა და კულტურის თავისებურებებს, ეკონომიკურ განვითარებას. გაერკვევიან ძველი მსოფლიოს პოლიტიკური მოღვაწეების, სარდლების, ფილოსოფოსების, რელიგიების დამაარსებელთა საქმიანობაში. ექნებათ წარმოდგენა ძველი მსოფლიოს ისტორიის საკვანძო პრობლემების შესახებ. კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ექნებათ პრე-ისტორიისა და ძველი მსოფლიოს ისტორიის საბაზო ცოდნა.

კურსი ფოკუსირებულია ძველი მსოფლიოს ისტორიის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მსოფლიო რელიგიების ფორმირება; ქალაქ-სახელმწიფოების მახასიათებლები; ბერძნული ფილოსოფია; სახელმწიფოს მმართველობის სხვადასხვა ფორმები საბერძნეთში; დემოკრატიის დაფუძნება; რესპუბლიკური მმართველობის პრინციპები; რომის იმპერიის თავისებურებები; რომაული სამართლისა და ქრისტიანობის გავლენა ევროპულ ცივილიზაციაზე; ძველი მსოფლიოს სოციალური ურთიერთობები, კულტურა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და აღმოჩენები. კურსი აგებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე.

მე-9 კლასის მსოფლიო ისტორიის II ნაწილი (5სთ.)მოიცავს კაცობრიობის განვითარების ისტორიას დაახლოებით 476 წლიდან 1500 წლამდე. ძირითადი თემები, რომელსაც ისინი გაივლიან არის შემდეგი: შუა საუკუნეების ევროპა, ჯვაროსნული ომები და მათი გავლენა დასავლურ ცივილიზაციაზე, ისლამური სამყარო, აფრიკა დაახლოებით მე-8 საუკუნიდან მე-16 საუკუნემდე და ცივილიზაციის გავრცელება სამხრეთ და სამხრეთაღმოსავლეთ აზიაში. კურსის მიზანია მოსწავლეები მოამზადოს მაღალ კლასებში Advanced Placement-ის ისტორიის კურსების შესასწავლად (მსოფლიო ისტორია და ევროპის ისტორია). collegeboard-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით იგი სწორედ ამ მიზანს ისახავს.

X კლასში მსოფლიო ისტორიის III ნაწილის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიას 1500-იანი წლებიდან დღემდე. რაც შეეხება თემატიკას, კურსის განმავლობაში ისინი ძირითადად ფოკუსირებული იქნებიან შემდეგ საკითხებზე: რენესანსი და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ლუთერი და პროტესტანტული რეფორმაცია, რელიგიური ომები, ინგლისის სამოქალაქო ომი და უსისხლო რევოლუცია,მმართველობაში აბსოლუტისტური მიდგომა, რევოლუციისა და განმანათლებლობის ეპოქა, საფრანგეთის რევოლუცია საფრანგეთის რევოლუციის შედეგები ნაპოლეონის აღზევება, ბატონობა და მარცხი, ინდუსტრიალიზაცია, კონფლიქტები, ცივი ომი, დეკოლონიზაცია და გლობალიზაცია.

ევროპის ისტორია.

X კლასში ისწავლება ევროპის ისტორია (5სთ). კურსის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური რეალობის, რელიგიის, ინტელექტუალური წრეების, ხელოვნების სფეროებში არსებულ იმ ძირითად ტენდენციებს, რომელთაც განაპირობეს ევროპის ფორმირება 1450 წლიდან დღემდე. კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ და კულტურულ განვითარებას, ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციებით გამოწვეულ ცვლილებებს.

კურსის განმავლობაში მოსწავლეები ასევე გააცნობიერებენ: პირველი და მეორე მსოფლიო ომების გავლენას ევროპის კულტურაზე, სოციალურ რეალობასა და ეკონომიკაზე.

გაერკვევიან მეოცე საუკუნის ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების საქმიანობაში. ექნებათ წარმოდგენა ახალი და უახლესი პერიოდის ევროპის ისტორიის საკვანძო პრობლემების შესახებ. კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ექნებათ ევროპის ისტორიის საბაზო ცოდნა.

კურსი ფოკუსირებულია ევროპის პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და სოციალური სფეროს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რელიგია და სახელმწიფო, დემოკრატიული ღირებულებები, ტოტალიტარიზმი და ადამიანის უფლებები, პაციფიზმი, რელიგიური ინსტიტუის რეფორმის პრობლემა, ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ინსტიტუტების მახასიათებლები, ეკონომიკური სისტემა და სოციალური ურთიერთობები, კულტურა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და აღმოჩენები. კურსი აგებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე.

XI კლასში ისწავლება ამერიკის ისტორია (5სთ). კურსის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ აშშ-ს ისტორიას დასაბამიდან 1877 წლამდე და 1877 წლიდან დღემდე. პირველ სემესტრში კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისის ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომს, აშშ-ს ომეს მექსიკასთან, სამოქალაქო ომსა და რეკონსტრუქციის პერიოდს, აშშ-ს საზოგადოებრივ და კულტურულ განვითარებას.

კურსის განმავლობაში მოსწავლეები ასევე გააცნობიერებენ: აშშ-ის მეოცე საუკუნის ისტორიის თავისებურებებს, გაერკვევიან თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაში, დაინახავენ თანამედროვე ამერიკის კავშირს ტრადიციებთან. გაერკვევიან მეოცე საუკუნის ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეების საქმიანობაში. ექნებათ წარმოდგენა მეოცე საუკუნის ამერიკის ისტორიის პრობლემების შესახებ. კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ექნებათ აშშ-ის ისტორიის საბაზო ცოდნა.

კურსი ფოკუსირებულია ამერიკის პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და სოციალური სფეროს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ამერიკული ღირებულებები, ამერიკული პოლიტიკური ინსტიტუტების მახასიათებლები, ეკონომიკური სისტემა და სოციალური ურთიერთობები, კულტურა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და აღმოჩენები.

XII კლასში საქართველოს ისტორია (5სთ.) ისწავლება მსოფლიო ისტორიის კონტექსტში ორი სემესტრის განმავლობაში უძველესი დროიდან დღემდე. მოსწავლეები გამოიკვლევენ საქართველოს პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ, კულტურის ისტორიას, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. მოსწავლეები კურსს შეისწავლიან სხვადასხვა საისტორიო წყაროების კვლევის შედეგად. საწავლო წლის ბოლოს მოსწავლეებს ეცოდინებათ საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხები, გაიაზრებენ საქართველოს როლსა და ადგილს მსოფლიო ისტორიაში.

VIII კლასში გეოგრაფიის შესავალი არის სავალდებულო კურსი ამერიკული საშუალო სკოლის სასწავლო გეგმაში. კურსი ემყარება ისეთ მიზნებს როგორიცა მოსწავლეებში გეოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბება.კურსი ასევე ეხება გარემოსდაცვითი თემებზე ცნობიერების ამაღლებას. კურსის ბოლოს მოსწავლეები გაეცნობიან საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიულ მახასიათებლებს, ბუნების ბიომრავალფეროვნებას და სოციალურ - ეკონომიკური განვითარების შესახებ ექნებათ წარმოდგენა ჩამოყალიბებული, რომლის შედარებას შეძლებენ სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან და შეძლებენ მსგავსება განსხვავებების იდენტიფიცირებას. მოსწავლეებს ასევე გამოუმუშავდებათ რუკის კითხვის უნარები. საგნის სასწავლო მასალები მოიცავს მერვე და მეცხრე კლასის სასწავლო ლიტერატურის კომბინაციას რადგან მოსწავლეებს განუვითარდეთ სივრცით-დროითი, ანალიტიკური და სისტემატური აზროვნება, შეძლონ სამყაროს მთლიანობაში აღქმა და მსოფლიო პროცესებში საქართველოს ადგილის განსაზღვრა.

IX კლასში **სოციოლოგიის შესავალი** არის სავალდებულო კურსი ამერიკული საშუალო სკოლის სასწავლო გეგმაში. კურსი ემყარება ჯგუფებში ადამიანების ქცევის შესწავლას. კურსის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან სოციოლოგიის ისტორიას, კვლევის მეთოდებს,კულტურას, სოციალიზაციას, ჯგუფების ქცევას, დევიაციას, სოციალური უთანასწორობას, რასობრივ და ეთნიკური ნიშნებს, სქესს, პოლიტიკას, რელიგიას, ოჯახის, მოსახლეობას და გარემოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პროგრამის სამოქალაქო განათლების საკითხები სოციოლოგიის გარდა წარმოდგენილია ისტორიის საგნის სწავლების ყველა კლასის თემატიკაში.ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული უმაღლესი სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების პროგრამაში ისწავლება დამატებით სამი საგანი AP X მსოფლიო ისტორია, AP X ევროპის ისტორია და AP XI შედარებითი მმართველობები და პოლიტიკა

ეს საგნები შედგენილია და ავტორიზებულია ოფიციალურად CollegeBoard-ის მიერ.

AP X მსოფლიო ისტორია კურსის განმავლობაში მოსწავლეები ძირითადად ფოკუსირებული იქნებიან შემდეგ საკითხებზე: ა) პოლიტიკური განვითარება ბ) ეკონომიკური და კომერციული განვითარება, გ) კულტურული და ინტელექტუალური განვითარება, დ) სახელმწიფოები და ძალაუფლების სხვა ინსტიტუტები, ე) სოციალური ორგანიზაცია და განვითარება, ვ) ეროვნული და ევროპული იდენტობა, ზ) ტექნოლოგიური და სამეცნიერო განვითარება.

AP შედარებითი მმართველობისა და პოლიტიკის კურსის განმავლობაში სტუდენტსბი შეისწავლიან ექვსი ძირითად ქვეყნის მმართველობას და პოლიტიკას: დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი, მექსიკა, ირანი და ნიგერია. ეს ექვსი ქვეყანა შესწავლისთვის სანიმუშო ქვეყნებს წარმოადგენს, კერძოდ, დიდი ბრიტანეთი განვითარებული დემოკრატიის მაგალითია, რუსეთი პოსტ-კომუნისტურიდან ლიბერალურ დემოკრატიაზე და შემდგომ არალიბერალურ დემოკრატიაზე გადასული ქვეყნის მაგალითია, ჩინეთი კომუნისტური ქვეყნისა ლიბერალური ეკონომიკით, მექსიკა ავტორიტარული მმართველობიდან არალიბერალურ და შემდგომ ლიბერალურ დემოკრატიაში გადასული ქვეყნისა, ხოლო ნიგერია არშემდგარი სახელმწიფოსი. ძირითადი თემებია: ა) ძალაუფლება და ხელისუფლება, ბ) ლეგიტიმაცია და სტაბილურობა, გ) დემოკრატიზაცია, დ) შიდა და გარე ფაქტორები, ე) პოლიტიკური ანალიზის მეთოდები

<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი აერთიანებს სამ მიმართულებას: ფიზიკას, ბიოლოგიასა და ქიმიას. ის უზრუნველყოფს დინამიურ, მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს, ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას თანამედროვე პედაგოგიური მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. უახლესი სტანდარტების შესაბამის ლაბორატორიებში მოსწავლეეებს საშუალება ეძლევათ, ჩაერთონ ინდივიდუალურ სამეცნიერო კვლევებში და შექმნან საკუთარი პროექტები, რომლებიც გაუადვილებთ მათ ღირსეულად გაართვან თავი სწრაფად ცვალებადი სამყაროს გამოწვევებს, იყვნენ პასუხისმგებლიანი.

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მიზანია განუვითაროს მოსწავლეებს კვლევა-ძიების, დამოუკიდებლად ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების, სამეცნიერო ინფორმაციის ანალიზის და შეფასების, მიღებული ცოდნის გამოყენებისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები; ჩამოუყალიბოს თვითშეფასების, თვითკონტროლისა და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი, რათა შეძლოს საზოგადოებაში ინტეგრირება.

საბუნებისმეტყველო საგნები ამერიკულ უმაღლეს სკოლაში ისწავლება VIII – XII კლასებში შემდეგი სქემის მიხედვით:

X კლასი - ინტეგრირებული საგანი „ბუნებისმეტყველება “, რომელიც აერთიანებს საკითხებს ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და გეოგრაფიის სფეროდან.

IX კლასი - ბიოლოგია
X კლასი - ქიმია
XI კლასი - ფიზიკა

ბიოლოგიის IX კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება (დაკვირვება, მონაცემების გაანალიზება/წარდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გამოტანა), მოსწავლეები ეცნობიან ექსპერიმენტების ჩატარებისათვის საჭირო მასალებსა და უსაფრთხოების წესებს, რომელსაც იყენებენ გაკვეთილის მსველობის დროს. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება შეისწავლონ და განიმტკიცონ ცოდნა სხვადასხვა აქტივობებით; უპასუხონ სხვადასხვა სააზროვნო დონის შეკითხვებს, გაკვეთილები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპის გათვალისწინებით. სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მიღწევებბის და კვლევის მეთოდებს, როგორიცაა გენმოდიფიცირება, დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა. მოსწავლეები გაკვეთილზე მსჯელობენ ჯანსაღი ცხოვრების წესსა და მის მნიშვნელობაზე. საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე იაზრებს ცნებების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს.

ბიოლოგიის კურსი მოიცავს შემდეგი საკითხებს: ბიოლოგიის მნიშვნელობა, მოლეკულური ბიოლოგია, ორგანული ნივთიერებები (ცილები, ცხიმები ნახშირწყლები, ენზიმები, ნუკლეინის მჟავები); უჯრედის ქიმიური შემადგენლობა, მისი სტრუქტურული კომპონენტები, უჯრედის ზრდა განვითარება, გენეტიკა, ევოლუცია, ეკოლოგია, კლასიფიკაცია და მრავალფეროვნება (ვირუსები, პროკარიოტები, ეუკარიოუტები), მცენარეების და ცხოველების სტრუქტურა და ფუნქცია, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია; ბიოტექნოლოგიის მიღწევები, გენური ინჟინერია, ევოლუციის პრინციპები;

კურსის ბოლოს მოსწავლეები ღებულობენ ბიოლოგიის საშუალოს სკოლის ცოდნას. ხოლო გაღრმავებული კურსის მსურველები ირჩევენ AP ბიოლოგიას, რომელიც წარმოადგენს საუნივერსიტეტო საგანს და უფრო სიღრმისეულად ისწავლება ზემოთ აღნიშნული საკითხები დამატებით სხვა საკითხებთან ერთად. ეს საგანი შედგენილია და ავტორიზებულია ოფიციალურად **CollegeBoard**-ის მიერ.

ქიმიის კურსი მოიცავს ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმიის ყველა იმ ძირითად საკითხს, რომელთა დაუფლებაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს სრულყოფილად მოემზადოს საუნივერსიტეტო პროგრამისთვის. ქიმიის კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქიმიის საგანი და მნიშვნელობა, ნივთიერება და ენერგია, ატომის აღნაგობა, კვანტური რიცხვები, პერიოდულობის ცხრილი ატომის აღნაგობასთან კავშირში, ქიმიური ბმის ტიპები (კოვალენტური, იონური, მეტალური და წყალბადური ბმა); სტექიომეტრია, ქიმიური რეაქციის სიჩქარე, ქიმიური წონასწორობა, მჟავები და ფუძეები, ელექტროლიტური დისოციაცია, ჟანგვა - აღდგენითი რეაქციები, ელექტროლიზი, თერმოქიმია, აირების კანონები, მთავარი ჯგუფების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა, ორგანული ქიმიის მნიშვნელობა, ორგანული ნაერთების ცალკეული წარმომადგენლები, მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების განხილვა და მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეებში კვლევის უნარების განვითარებას (ექსპერიმენტების დაგეგმვას, მათი უსაფრთხოდა ჩატარებასა და მიღებული შედეგების დამუშავებასა და ანალიზს, ასევე ინფორმაციის მოძიებას სხვადასხვა გლობალურ პრობლემაზე, მათი გამომწვევი მიზეზებისა და გადაჭრის გზების ძიება).

ქიმიის კურსის მიზანია მოსწავლეს გაუჩნდეს ინტერესი ბუნებაში მიმდინარე ქიმიური მოვლენების შესწავლის მიმართ, შეძლოს ბუნებაში მიმდინარე კანონზომიერებების გაანალიზება და ახსნა, გაითავისოს მწვანე ქიმიის პრინციპები და იზრუნოს გარემოზე; გამოუმუშავდეს დამოუკიდებლად ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების (თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით), მონაცემების გაანალიზების, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასკვნის სხვადასხვა ფორმით გადმოცემის უნარი;

განსაკუთებული ყურადღება ექცევა საბუნებისმტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების მიღწევების შეფასებას მდგრადი განვითარების პრინციპების თვალსაზრისით; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან და სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება;
კურსის ბოლოს მოსწავლეები ღებულობენ ქიმიის საშუალოს სკოლის ცოდნას. ხოლო გაღრმავებული კურსის მსურველები ირჩევენ AP ქიმიას, რომელიც წარმოადგენს საუნივერსიტეტო ბიოლოგიის საგანს დაა უფრო სიღრმისეულად ისწავლება ზემოთ აღნიშნული საკითხები დამატებით სხვა საკითხებთან ერთად. ეს საგანი შედგენილია და ავტორიზებულია ოფიციალურად **CollegeBoard**-ის მიერ.
ფიზიკის კურსის მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების, კვლევითი უნარების განვითარება, რათა მათ შეძლონ:
ფიზიკის ამოცანების გაგება/გააზრება და შესაბამისი მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მათი ამოხსნა;
მეცნიერული მეთოდების გამოყენებით ფიზიკის ამოცანების ანალიზი და მიღებული შედეგების ფიზიკური ინტერპრეტაცია;
ცდების ჩატარება, მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია ცდომილებების გამოანგარიშების ჩათვლით;
დაგროვილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.
მოსწავლეებს ეძლევათ ლაბორატორიული კვლევის თემა, მოკლე აღწერა და საჭირო ხელსაწყოები. მათ აქვთ შესაძლებლობა თვითონ შეარჩიონ თემა, დიზაინი. ისინი ატარებენ გაზომვებს და ამუშავებენ ცდის მონაცემებს როგორც რიცხობრივად, ასე გრაფიკულად. კვლევის ანგარიში უნდა მოიცავდეს: ამოცანის დასმას/კვლევის მიზანს; ცდის მსვლელობის აღწერილობას;
გაზომვებით მიღებულ დანათვლებს, მონაცემთა დამუშავების აღწერილობას და შედეგების ანალიზს, დასკვნას ცდით გაზომილი სიდიდეების ცდომილებების ანალიზის ჩათვლით.

ფიზიკის კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: თანაბარ აჩქარებული მოძრაობის გრაფიკული წარმოდგენა, ვექტორები, მათი გეგმილები და ურთიერთკავშირი, კუთხით გასროლილი გასროლილი სხეულების მოძრაობის კინემატიკა; ნიუტონის პირველი კანონი, ინერცია, ინერციული ათვლის სისტემები; ნიუტონის კანონები; დრეკადობის ზალა - ჰულის კანონი, დაჭიმულობის ძალები; გრავიტაციის უნივერსალური კანონი, პლანეტებისა და თანამგზავრების მოძრაობა, ორბიტალური სიჩქარე, კოსმოსური სიჩქარეები; კეპლერის კანონები; ელექტრობა, მუდმივი და ცვლადი დენი; ენერგია, ენერგიის გარდაქმნა და ენერგიის მუდმივობის კანონი როგორც ბუნების უნივერსალური კანონი, იმპულსი და ძალა, იმპულსის მუდმივობის კანონი, სტატიკური წონასწორობა, გადატანითი მოძრაობის წონასწორობის პირობები; სიმკვრივე, ხვედრითი წონა; სითხეებში და აირებში მოძრაობა - ბერნულის განტოლება, პასკალის კანონი, სითხეში ჩაძირული სხეული და არქიმედის კანონი; მილევადი და იძულებითი რხევები, რეზონანს; ატომის აგებულება; იდეალური აირების კანონები; თერმოდინამიკის კანონები; ელექტრული მუხტი, სხეულების დამუხტვა, მუხტები; ელექტრული მუხტის მუდმივობის კანონი, ტენიანობა, აბსოლუტური და ფარდობითი ტენიანობა, ტევადობა, კონდენსატორები, ომის კანონი წრედის უბნისათვის; დენის წყაროები, ემძ; კუთრი წინაღობა, ელექტროლიზი, ფარადეის კანონები, გალვანური ელემენტი, მაგნიტური ველი; სინათლის გავრცელება; ოპტიკა;

კურსის ბოლოს მოსწავლეები ღებულობენ ფიზიკის საშუალოს სკოლის ცოდნას. ხოლო გაღრმავებული კურსის მსურველები ირჩევენ AP ფიზიკას, რომელიც წარმოადგენს საუნივერსიტეტო საგანს და უფრო სიღრმისეულად ისწავლება ზემოთ აღნიშნული საკითხები დამატებით სხვა საკითხებთან ერთად. ეს საგანი შედგენილია და ავტორიზებულია ოფიციალურად **CollegeBoard**-ის მიერ.

ტექნოლოგიები

ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი რობოტექნიკის საფუძვლები (ისწავლება VIII კლასში), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) (ისწავლება IX კლასში) და კომპიუტერული დიზაინი (ისწავლება X კლასში); ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიზანია: ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მედია და ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებას; დაეხმაროს მათ სხვადასხვა დარგისათვის სპეციფიკური ტექნოლოგიების დაუფლებაში და ამ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორც სხვადასხვა საგანთან ინტეგრირებული სწავლებისას, ასევე ცალკე სწავლების გზით.

სპორტი

1. სპორტის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგნები: ა) ფიზიკური აღზრდა სპორტი (ისწავლება VIII-XI კლასებში).
2. სპორტის სწავლების მიზანია, ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას, ასევე, საგნის სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლემ გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.
3. სსსმ მოსწავლეები (კერძოდ, ფიზიკური პრობლემების მქონე: საინვალიდო ეტლით მოსარგებლე, გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე, მხედველობისა და სმენის დარღვევის მქონე და სხვ.) სპორტის გაკვეთილებსა და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობენ მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

არჩევითი საგნები

1. არჩევითი საგნების სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება და მათი გამოცდილების გამდიდრება. საკუთარი სურვილის მიხედვით არჩეული რამდენიმე საგნის სწავლება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა საგანმანათლებლო სფეროში და უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიქმნან საკუთარი მიდრეკილებებისა და მომავალში ასარჩევი გეზის შესახებ.
2. არჩევითი საგნების სწავლებისას შესაძლებელია კლასი დაკომპლექტდეს საშუალო საფეხურის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისგან.

არჩევითი საგნების სია 2020 – 2021 სასწავლო წლისთვის:
საგნის დასახელება - სემესტრის რაოდენობა- კლასი
1. AP მიკროეკონომიკა -2 - X/XII
2. AP მაკროეკონომიკა -2 - X/XII
3. AP ევროპის ისტორია -2 - X
4. AP კალკულუს AB -2 - XI
5. AP კალკულუს BC -2 - XII
6. AP ფსიქოლოგია-2 - XI
7. AP შედარებითი მმართველობები -2 - XI
8. AP მსოფლიოს ისტორია -2 - XI
9. AP სემინარი -2 - XI
10. AP კვლევა -2 - XII

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ , რომ ამერიკული უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების შესაბამისი საფეხურისათვის უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასკოლო სასწავლო გეგმა; • კლასის პროგრესის ანალიზის ნიმუში; • ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტის Newsletter https://sites.google.com/europeanschool.ge/newsletters/introducation; • MAP ტესტების ანალიზი; • სკოლის თვითშეფასების ანგარიში; • სასკოლო საზოგადოების ინტერვიურება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3. საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლისათვის კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აძლევს მათ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამერიკულ უმაღლეს სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი ისწავლება დისკუსიაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. კურიკულუმი ისეა შედგენილი , რომ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსწავლეებში კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

2019/2020 აკადემიური წლიდან ამერიკულ უმაღლეს სკოლაში დაინერგა AP Capstone სადიპლომო პროგრამა, რომელიც მოიცავს 4 AP საგანს, AP სემინარსა (AP Seminar) და AP კვლევას (AP Research). მოსწავლეები ამ საგნებს გადიან მე-11 და მე-12 კლასებში შესაბამისად. სემინარში მოსწავლეებს უვითარდებათ პრობლემის დასახვისა და გაანალიზების, საკვლევი კითხვების დასმის, ინფორმაციის მოძიების უნარები. AP კვლევაში მოსწავლეები ირჩევენ პრობლემურ საკითხს და ატარებენ სამეცნიერო კვლევას ყველა მოთხოვნის დაცვით. კვლევის კურსი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ღრმად შეისწავლონ აკადემიური თემა, პრობლემა, საკითხი ან ინდივიდუალური ინტერესის იდეა. მათ უვითარდებათ უფრო მაღალი დონის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნების უნარს. ამ ერთ წლიანი კურსის საშუალებით, მოსწავლეები სწავლობენ კვლევის მეთოდებს და იყენებენ ეთიკურ კვლევით პრაქტიკას. კურსი სრულდება 4000-5000 სიტყვის აკადემიურ ნაშრომით და ზეპირი დაცვით, პრეზენტაციით. მოსწავლეებს შეუძლიათ დაიცვან თავიანთი არგუმენტები, პოზიციები. ისინი მიმდინარე პროცესს ასახავენ ჩანაწერების ორგანიზებით. კურსი ეფუძნება როგორც კონკრეტული დისციპლინის ლიტერატურულ მიმოხილვას ასევე მოსწავლის ინდივიდუალურ კვლევას სადაც ვითარდება როგორც წყაროთა ანალიზის უნარი, ასევე იხვეწება მოსწავლის, როგორც ახალგაზრდა ინოვატორისა და მკვლევარის შემოქმედებითი უნარები.

ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა მოსწავლეებისთვის, დახვეწონ კვლევითი აზროვნებისა და წერის უნარები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ საუნივერსიტეტო განათლების მიღებისას.

AP (Advanced Placement) სემინარი არის კურსი, რომელიც მოიაზრებს მოსწავლეების ჩართვას სხვადასხვა საგნებს შორის კავშირების დასადგენ დიალოგში. ისინი განიხილავენ აკადემიური და ყოველდღიური პრობლემების არსს და სხვადასხვა პერსპექტივებს. კვლევის ჩარჩოს გამოყენებით, მოსწავლეები გამოიმუშავებენ სტატიების, სამეცნიერო კვლევების, მხატვრული და ფილოსოფიური ტექსტების კითხვის და გაანალიზების უნარს, სიტყვით გამოსვლების და გადაცემების მოსმენის და გაანალიზების უნარს, ხელოვნების ნიმუშების შეფასებას და განცდას. მოსწავლეები ისწავლიან ინფორმაციის სინთეზს სხვადასხვა წყაროდან, საკუთარი ხედვის ჩამოყალიბებას და ზეპირი და ვიზუალური პრეზენტაციების შედგენას ინდივიდუალურად და ჯგუფურად.

საერთო ჯამში, კურსის მიზანია მოსწავლეებს ინფორმაციის სწორად და ზუსტად გაანალიზების საშუალება მისცეს საკუთარი არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად.

კვლევითი კომპონენტი ასახულია საგნების სილაბუსშიც. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტანდარტით ჩატარებული გაკვეთილები სამეცნიერო კვლევებისა და ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარების უნარებს უვითარებთ მოსწავლეებს. სოციალური მეცნიერებების საგნების ფარგლებში ისინი ეცნობიან დოკუმენტზე მუშაობის მეთოდებს, ინფორმაციის მოძიების ხერხებს, კვლევითი შეკითხვის ჩამოყალიბების უნარებს, წყაროების შედარებით ანალიზს და ასე შემდეგ.

საკლასო ოთახში სასწავლო პროცესს თან ახლავს ლაბორატორიული ექსპერიმენტები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსწავლეებმა სრულად აითვისონ მოცემული კონცეფციები. სათანადოდ აღჭურვილი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მეცნიერების ლაბორატორიები, MAC ლაბორატორია, FabLab / ფაბლაბი, Lego ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორიები, SMART ლაბორატორია და Multimedia Language Laboratory (MLL) ლაბორატორია წარმოადგენენ მოსწავლეებისთვის დაკვირვების, ინოვაციის, აღმოჩენის, ექსპერიმენტის პლატფორმას, რაც ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბებას 21-ე საუკუნის გლობალურ, ციფრულ მოქალაქეებად.

XI და XII კლასში, ჯუნიორ და სენიორ პროექტების ფარგლებში მოსწავლეები ირჩევენ მათთვის საინტერესო, პრობლემურ საკითხს და ხელმძღვანელ მასწავლებელთან ერთად ამუშავებენ. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებს მოეთხოვებათ კვლევის სხვადასხვა მეთოდის (გამოკითხვა, ინტერვიუ, ბუნებრივი დაკვირვება და სხვა რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები) გამოყენება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება.

პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ პრეზენტაციას მასწავლებლებისგან შემდგარი ჟიურის წინაშე. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები შემდეგ ეტაპებს გადიან:

- მოსწავლეები ეცნობიან პროექტზე მუშაობის წესებს, მოთხოვნებს და შეფასების რუბრიკებს.
- მოსწავლეები ირჩევენ მათთვის საინტერესო სფეროდან ნებისმიერ საკვლევ საკითს.
- მოსწავლეები ხელმძღვანელებთან ერთად განიხილავენ პროექტის საკვლევ საკითხს და ადგენენ სამუშაო სქემას. პროექტზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე მოთხოვნილ დავალებას მოსწავლეები ტვირთავენ ელექტრონული ჟურნალის სპეციალურად გამოყოფილ ველში.
- კვლევის ყველა ეტაპის მოცემულ ვადაში დასრულების შემდეგ მოსწავლეების ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე.
- მოსწავლეები წარადგენენ პროექტს, რომელსაც აფასებს ჟიური.

პროექტებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებში კვლევისა და პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და საშუალებას აძლევს მათ, სკოლაში მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენონ. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს უვითარდებათ აკადემიური კეთილსინდისიერების აღქმაც. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, რომელსაც ამერიკული უმაღლესი სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს. სკოლაში შემუშავებულია აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული დირექტორის მიერ 09.10.2020; ბრძანება № 1-50/2), რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის სწორი პრაქტიკის პოპულარიზაციას და ხაზს უსვამს სხვების ნამუშევრების აღიარების მნიშვნელობას წყაროების მითითებით.

ამ პრაქტიკის მხარდასაჭერად, მოსწავლეებს მთელი წლის მანძილზე უტარდებათ ვებინარები/პრეზენტაციები. აკადემიური კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა უნდა:

- შეასრულონ სკოლის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა და მისი სახელმძღვანელო პრინციპები.
- გაიაზრონ ავთენტური და ორიგინალური ნაშრომის შექმნის მნიშვნელობა.
- თავად იყვნენ პატიოსნები, სამართლიანები, ეთიკურები და პასუხისმგებლიანები.
- აღიარონ სხვისი ინტელექტუალური საკუთრება საკუთარი ნაშრომის შექმნისას.
- ისწავლონ აკადემიური წერის კონვენციები.
- ისწავლონ მითითება და ციტირება სკოლის მიერ დამტკიცებული სტანდარტისა და ამ პოლიტიკის დოკუმენტის გამოყენებით.

რაც შეეხება პლაგიატის პრევენციასა და აღმოფხვრას, ამ მიზნით სკოლაში დანერგილია პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა Turnitin, რომელიც ტექსტებს შორის მსგავსების დადგენასა და პლაგიატის აღმოჩენას ემსახურება.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამერიკული უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლისათვის კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აძლევს მათ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯუნიორ და სენიორ პროექტების რუბრიკები
- პროექტების დაცვა (ვიდეო, ფოტო მასალა)
- AP Capstone პროგრამების სილაბუსები (სემინარი, კვლევა)
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი
- ლაბორატორიული ცდის ოქმი (მოსწავლის ნიმუში)
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიურება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4. უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ევროპულ სკოლაში“ წარმატებულადაა დანერგილი მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სასწავლო პროცესში, რაც ინტერვიურების პროცესმაც ნათლად დაგვანახა. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებასა და შეფასებაში დეპარტამენტის ყველა წევრი იღებს მონაწილეობას.

გასაუბრებით დადასტურდა , რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის შემოწმება, შედეგების განხილვა, ანალიზი და რეკომენდაციების

გაზიარება პროგრამის განვითარების მიზნით. თითოეულ საგნობრივ ჯგუფში მსჯელობენ შეფასების სისტემის მუდმივ გაუმჯობესებაზე. საგნობრივი ჯგუფის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

ყოველკვირეულად იმართება დეპარტამენტების კრებები, რაც სხვა შეხვედრებთან ერთად ხელს უწყობს მასწავლებლების და ადმინისტრაციის თანამშრომლობას (ლიდერები, საგნების ხელმძღვანელები, პროგრამის კოორდინატორები, განყოფილებების უფროსები) პროგრამით გათვალისწინებული ინიციატივების მხარდასაჭერად, სასწავლო პროგრამის დასამუშავებლად და მონაცემთა ანალიზისთვის. ამასთან, მასწავლებლები უკუკავშირს იღებენ ადმინისტრაციისგან და მეწყვილეებისგან. სკოლას ყავს კლასის დამრიგებლები, რომელთა ძირითადი ვალდებულებაა მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში უზრუნველყონ სისტემატური და კომპლექსური ინსტრუქტაჟით.

სასწავლო წელი იწყება მშობლებთან და მოსწავლეებთან საორგანიზაციო შეხვედრით (სასწავლო გეგმების გაცნობა, სემესტრის დაგეგმა, სკოლის რეგულაციების, პროგრამის გზამკვლევის გაცნობა...). ახალი მოსწავლეების მშობლებისთვის ტარდება საორიენტაციო შეხვედრები, ინიშნება ელექტრონული ჟურნალის გამოყენების ტრენინგები. სემესტრის შუაში იმართება მშობლისა და მასწავლებლის ინდივიდუალური შეხვედრები (სასწავლო გეგმის შესახებ უკუკავშირის მოსმენა, მოსწავლის აკადემიური მდგომარეობის განხილვა); სასწავლო წლის ბოლოს - მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე ინდივიდუალური შეხვედრა (წლის შედეგების გაცნობა). ასევე ტარდება კლასის გაერთიანებული კრება კლასის დამრიგებლისა და პროგრამის ადმინისტრაციის ჩართულობით. მშობლებს წლის მანძილზე შეუძლიათ თავიანთი აზრის გამოთქმა სასწავლო გეგმის და მისი მიზნების შესახებ. სკოლის ადმინისტრაცია ისმენს მათ მოსაზრებებს და აანალიზებს მათ უკუკავშირს. სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობა სასწავლო პროცესის პრაქტიკული შემადგენელი ნაწილია. სასწავლო გეგმის შეფასებაში სკოლის საზოგადოების მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები არ მონაწილეობენ. სასწავლო პროცესში ასევე აქტიურად არიან ჩართულნი მშობლები.

სასწავლო წლის დასაწყიში ტარდება მშობელთა კრებები, სადაც მშობლებს ეცნობებათ დაგეგმილი სიახლეები, შეფასების სისტემა, ეძლევათ თითოეული საგნის განახლებული სილაბუსები. თითოეული საგნის სილაბუსი წლის დასაწყისში იტვირთება ელექტრონულ ჟურნალში. ამერიკული უმაღლესი სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს - Quickschools, სადაც ყველა მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს აქვს საკუთარი პროფილი და ხედავს მისთვის საჭირო ინფორმაციას. მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ონლაინ კომუნიკაციისთვის პროგრამით მოცემულ საშუალებებს (კომენტარები, სასაუბრო სივრცე - „ჩატი“) იყენებენ.

სასკოლო ცხოვრებაში ხარისხის კულტურისა და ინსტიტუციური განვითარების მიზნით ადმინისტრაცია ხშირად ატარებს ანონიმურ გამოკითხვებს პრობლემური საკითხების იდენტიფიცირების მიზნით. 5 წელიწადში ერთხელ სკოლის საზოგადოებას ეგზავნება CIS-ის მიერ შემუშავებული კითხვარი, რომელიც სკოლის ცხოვრების ყველა მიმართულებას მოიცავს და მათ შორის, სასწავლო გეგმის შეფასებასაც. სკოლაში არსებობს მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია (PTA) (წესდება შემუშავებულია PR და მარკეტინგის განყოფილების მიერ და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძნებით № 1-41/1).

ასოციაციას ჰყავს კოორდინატორი, თავმჯდომარეები (მშობლები) პროგრამების მიხედვით და თითოეული კლასის წარმომადგენელი მშობელი. საბჭო გარკვეული პერიოდულობით იკრიბება, ეცნობა სკოლის სიახლეებს, გამოწვევებს, გეგმებს, იხილავს პრობლემურ საკითხებს, გეგმავს ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით. ასოციაცია აქტიურადაა ჩართული სკოლის ცხოვრებაში. ის, პრაქტიკულად, არის რგოლი სკოლასა და მშობელთა საზოგადოებას შორის.

ყოველ წელს PTA მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის ატერებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ახალ მშობლებთან შეხვედრის წვეულება- ტარდება წლის პირველ თვეში, რათა მოხდეს სკოლაში ახალი მშობლების მიღება;
- საახალწლო საქველმოქმედო ბაზრობა საქველმოქმედო ბაზრობა ტარდება დეკემბრის ბოლოს სკოლის მთელი საზოგადოებისთვის, სადაც მონაწილეები წარადგენენ ხელნაკეთ ნივთებს და აწყობენ მათ მიერ გამომცხვარი პროდუქციის გაყიდვას იმისთვის, რომ მოხდეს თანხის შეგროვება სხვადასხვა ბენეფიციარებისთვის;
- საოჯახო სპორტის დღე - ღონისძიების ფარგლებში ეწყობა სპორტული თამაშები მთელი ოჯახისთვის. ეს აქტივობა ემსახურება ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას;
- ევროპის დღე- ტარდება მაისის პირველ კვირაში სკოლის მთელი საზოგადოებისთვის და ორგანიზებულია „ევროპულ სკოლაში“ არსებული კულტურული მრავალფეროვნების აღსანიშნავად;
- საერთაშორისო კერძების დღე- ღონისძიება, სადაც მოსწავლეები და მათი მშობლები სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმოადგენენ ჯანსაღ ეროვნულ კერძებს;
- ოჯახის ისტორიის დღე – ღონისძიება, სადაც უცხოელთა ოჯახები დამსწრეებს უზიარებენ თავისი ოჯახის ისტორიას, წარმომავლობას, საკუთარი ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს.

PTA აქტიურად ახდენს სოციალური და საქველმოქმედო ღონისძიებების დაგეგმვას, კოორდინირებასა და ჩატარებას, რაც ხელს უწყობს სკოლაში ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ , რომ ამერიკულ უმაღლეს სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპული სკოლის სასწავლო გეგმა;
- ამერიკული უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმა
- საგნების სილაბუსები/გაკვეთილების გეგმები;
- ევროპული სკოლის შეფასების პოლიტიკის დოკუმენტი;
- საგნობრივი დეპარტამენტების დებულება;
- ამერიკული უმაღლესი სკოლის სემესტრული ანგარიში;
- ამერიკული უმაღლესი სკოლის გზამკვლევი;
- ელექტრონული ჟურნალის ტუტორიალი;
- რეგულაციების გაცნობითი პრეზენტაციები მშობლებისთვის;
- ევროპული სკოლის პოლიტიკის დოკუმენტები;
- Cognia-ს აკრედიტაციის რეკომენდაციები;
- კლასგარეშე აქტივობების კალენდარი;
- მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები;
- მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის წესდება და შეხვედრის ოქმი;
- მშობელთა კრებების ოქმის ნიმუში;
- კოვიდრეგულაციების დოკუმენტი;

- ევროპული სკოლის სამსახურის დებულებები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიურება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1. დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორგანიზებულად ხორციელდება და არსებობს დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ამერიკულ უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება ორგანიზებულად. სკოლის მართვას ახორციელებს აკადემიური საბჭო და ადმინისტრაცია. სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება სკოლაში მოქმედი დეპარტამენტების საშუალებით, პროცესის მართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, აკადემიური დეკანი და მოადგილე. რეაკრედიტაციის პროცესში 2020 წელს Cognia-ს რეკომენდაციების მიხედვით, სკოლას გასაუმჯობესებელი ჰქონდა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი სწავლა-სწავლების პროცესში. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სკოლაში შეიქმნა ციფრული ტრანსფორმაციის მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ტექნოლოგიური აქტივობები, რომელიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, განივითარონ 21-ე საუკუნის უნარები. მასწავლებლების და მოსწავლეების მხარდასაჭერად, სკოლას გააჩნია უახლესი ციფრული საგანმანათლებლო ტექნოლოგიები (კომპიუტერები, ლეპტოპები, სმარტ დაფები, ვებ-კამერები, დოკუმენტ კამერები, პრინტერები და სხვა); პედაგოგებისთვის სისტემატურად ტარდება პროფესიული განვითარების ტრენინგები; სკოლას ჰყავს 14 მაიკროსოფტის ექსპერტი (MIE Expert), 50 მაიკროსოფტის ინოვატორი მასწავლებელი (Microsoft Innovative Educator (MIE), IT ქოუჩები; მუშაობს ტექნიკური დახმარების გუნდი. სკოლაში საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარება ემყარება სკოლის ციფრული განვითარების გეგმას, რომლის განახლება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სწავლებისთვის საჭირო და აუცილებელი რესურსები: სახელმძღვანელოები, ნაბეჭდი და ელექტრონული მასალები, ლაბორატორიები, ტექნოლოგიური საშუალებები და ასე შემდეგ. სკოლის მასწავლებლებს წვდომა აქვთ საგნობრივად აუცილებელ ციფრულ რესურსებზეც. წლის მანძილზე მათ უტარდებათ ტრენინგი საჭირო კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად, რომლებსაც შემდეგ გაკვეთილის ჩატარებისას იყენებენ. სასარგებლო პროგრამების/ვებ-გვერდების ჩამონათვალი შედგენილია დეპარტამენტების საჭიროებების მიხედვით. მასწავლებლებს რეგულარულად ეგზავნება ციფრული ტრანსფორმაციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ შედგენილი საინფორმაციო ბროშურები, სადაც მოცემულია უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიური საშუალებების აღწერა და მათი გამოყენების ინსტრუქციები. ციფრული უნარების განვითარების მიზნით, სკოლა აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიური რესურსებით. ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეებს ემსახურება ICT

და Mac ლაბორატორიები, რომლებიც ხელს უწყობს 1:1 ელექტრონულ სწავლებას Windows iOS გარემოში. ტექნოლოგიების ჯგუფის საგნების გარდა აღნიშნულ ლაბორატორიებში მოსწავლეებს უტარდებათ სხვადასხვა საგნის გაკვეთილები, შეხვედრები, დამატებითი მეცადინეობები.

ფაბლაბი არის სპეციალური, მოქნილი, კომპიუტერით პროგრამირებადი დანადგარებით აღჭურვილი სივრცე, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა მასალებისა და აპარატურული კომპლექსის გამოყენებით შეიქმნას სხვადასხვა პროდუქტი. ლაბორატორია შექმნილია, როგორც პროტოტიპირების შესაძლებლობების მქონე ინფრასტრუქტურა ადგილობრივი მეწარმეებისთვის, გარდა ამისა ფაბლაბი ინტეგრირებულია სკოლის მიერ პროექტებზე დაფუძნებული სწავლების ნაწილში და STEAM-ის მიმართულებით პრაქტიკული პროდუქტების შექმნის ნაწილში.

მოსწავლეები ლაბორატორიაში სწავლობენ საგნების დაპროექტებასა და მათ შექმნას პერსონალური ინტერესების მიხედვით ან უკვე არსებული მოდელების შესაბამისად. ამერიკული სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით, VIII კლასის მოსწავლეებს ფაბლაბში უტარდებათ რობოტიქსი, სადაც ისინი ეუფლებიან ინჟინერიის და კომპიუტერული პროგრამირების საწყისებს. X კლასში მოსწავლეები გადიან კომპიუტერული დიზაინის კურსს, რაშიც ასევე აქტიურად იყენებენ ფაბლაბის რესურსებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისას მოსწავლეებს წვდომა აქვთ უახლესი ტექნოლოგიებით და რესურსებით აღჭურვილ ლაბორატორიებზე.

ციფრული სწავლების და ტექნოლოგიების გამოყენების ხელშესაწყობად „ევროპული სკოლის“მოსწავლეებს წვდომა აქვთ მსოფლიოს უდიდეს ელექტრონულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებზე, როგორიც არის, JSTOR და Britannica.

ბიბლიოთეკა ყველა მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვანი რესურსების ფართო არჩევანს ბიბლიოთეკის მომსახურებით სახლიდან, მობილური მოწყობილობით თუ ფიზიკურ გარემოში სარგებლობისას. გაციფრულებულია სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები და ლიტერატურა. მომხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ბიბლიოთეკა კვლევის, მეცადინეობის, კითხვისა და ჯგუფური სამუშაოებისთვის.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველებს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული რესურსებით. ამ უკანასკნელზე წვდომა მომხმარებლებს სკოლის შენობის გარეთაც აქვთ მუდმივ რეჟიმში. საბაზო და საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკაში დაცულია 10 000-მდე ბეჭდური რესურსი მრავალ ენაზე.

ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო, კომპიუტერულ და ჯგუფური პროექტების იზოლირებულ სივრცეებს. სკოლას შექმნილი აქვს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი.

მრავალფეროვანია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები: ბიოლოგიის ლაბორატორიას აქვს მდიდარი ვიდეოთეკა, ბიოლოგიური პროცესების ამსახველი სქემები, დიაგრამები, პლაკატები, ადამიანის ორგანოების მულაჟები. იგი აღჭურვილია გამადიდებელი ხელსაწყოებით – ლუპებით, თანამედროვე მიკროსკოპებით, ელექტრონული სასწორებით, სპექტროფოტომეტრით, ელექტროფორეზის ჩასატარებელი მოწყობილობით და სხვა მრავალი ექსპერიმენტისთვის საჭირო საშუალებებით, რომელიც მოსწავლეებს აძლევს ბიოლოგიურ პროცესებზე უშუალოდ დაკვირვების შესაძლებლობას.

ფიზიკის ლაბორატორიაში მოსწავლის სამუშაო მაგიდები უზრუნველყოფილია როგორც მუდმივი, ისე ცვლადი ელექტრული დენით, წყლითა და ხელოვნური გაზით. მოწყობილობების მართვა ხდება მასწავლებლის სამუშაო მაგიდიდან, რაც მას საჭიროების შემთხვევაში სისტემის გამორთვის შესაძლებლობას აძლევს.

ლაბორატორია აღჭურვილია სტანდარტული ხელსაწყოებით, ასევე გააჩნია ლაზერის წყარო, უიტსტონი ბოგირი (ელექტრობაში), ციფრული სენსორები, რომლებიც Wi-Fi წყაროს მოწყობილობით უკავშირდება კომპიუტერულ პროგრამას.

სკოლას აგრეთვე გააჩნია ტელესკოპი ციურ სხეულებზე დაკვირვებისთვის და უახლოეს მომავალში გეგმავს მინი ობსერვატორიის მოწყობას.

ქიმიის ლაბორატორიაში სამუშაო მაგიდებთან მიყვანილია დენი და წყალი. კაბინეტი აგრეთვე აღჭურვილია სტანდარტული და თანამედროვე ციფრული ხელსაწყოებით, როგორიცაა PH-მეტრი, წნევის და ტემპერატურის სენსორები, კალორიმეტრი, სპექტრომეტრი, თერმოსტატი, ტიტრიმეტრი, ცენტრიფუგა, დისტილატორი, ქაღალდის ქრომატოგრაფი, თერმოსტატი, აგრეთვე ნივთიერებების მოდელებით, ბუნებრივი მინერალების ნიმუშებით. ციფრული ხელსაწყოების დახმარებით მონაცემების აღრიცხვა ხდება პირდაპირ კომპიუტერულ პროგრამაში. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ ჩაატარონ სხვადასხვა სახის ცდა და ექსპერიმენტი.
სასწავლო წლის დასაწყისში, სწავლების პროცესის დაგეგმვისას, ამერიკული უმაღლესი სკოლის ცხრილი შედგენილია საბუნებისმეტყველო და ინოვაციური ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ერთად, გათვალისწინებულია, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ რეგულარული წვდომა ლაბორატორიულ რესურსებზე.
დეპარტამენტის ხელმძღვანელები ისე ანაწილებელ განრიგს, რომ ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეებს კვირაში 2-3-ჯერ გაკვეთილი ლაბორატორიებში ჩაუტარდეთ. რობოტიქსის გაკვეთილი ყოველთვის ფაბლაბში ტარდება.
საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია Smart დაფები, რომელთა საშუალებით მოსწავლეებს მიეწოდება ვიზუალურად გამდიდრებული ინფორმაცია.
სკოლას აქვს ხუთი კომპიუტერული ლაბორატორია: ოთხი ლაბორატორია სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე სამაგიდე კომპიუტერებით და ერთი - ლეპტოპებით; თითოეული კომპიუტერი მიერთებულია ინტერნეტთან. ლაბორატორიები იყენებენ ინტერაქტიულ დაფებს (IWB), პრინტერებს, სკანერებს, ვებ-კამერებს, ყურსასმენებს და სხვა ტექნოლოგიებს მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველსაყოფად. სკოლაში დანერგილია მოსწავლეების BYOD (Bring Your Own Devise -მოიტანე შენი კომპიუტერი) პროგრამა.
სასწავლო პროცესის ორგანიზებული წარმართვისთვის აუცილებელი რესურსია ელექტრონული ჟურნალი Quickschools. ჟურნალში თითოეულ მასწავლებელს, მოსწავლეს და მშობელს შექმნილი აქვს საკუთარი პროფილი და აქვს წვდომა საჭირო ინფორმაციაზე. მასწავლებლები ელექტრონულად აძლევენ მოსწავლეებს დავალებებს და აფასებენ მათ, მოსწავლეებს შეუძლიათ ელექტრონულად ატვირთონ დავალება სისტემაში და გაეცნონ საკუთარ ქულებს. მშობელს წვდომა აქვს საკუთარი შვილის ქულებზე, დავალებებზე და მასწავლებლის კომენტარებზე.
ელექტრონულ ჟურნალში ხდება მოსწავლის დასწრების აღრიცხვაც.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ , რომ ამერიკულ უმაღლეს სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორგანიზებულად ხორციელდება და არსებობს დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიურება;
- ბიბლიოთეკის გზამკვლევი მოსწავლისთვის;
- ბიბლიოთეკის ვებგვერდის ლინკი - https://esonlinelibrary.com/
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა;
- ფაბლაბის ტექნოლოგიების აღწერა;
- ICT ლაბორატორიების აღწერა;
- ლაბორატორიის სახელმძღვანელო პრინციპები და რეგულაციები;
- ციფრული საშუალებების გასაცნობი Newsletter -

- https://sites.google.com/europeanschool.ge/newsletters/introducation
- ელექტრონული ჟურნალის Quickschools-ის შესახებ პრეზენტაცია;
- ლაბორატორიების გამოყენების ცხრილი;
- ამერიკული უმაღლესი სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, მორგებულია ცალკეული მოსწავლის, მოსწავლეების ჯგუფების და მთელი კლასის საჭიროებებზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამერიკული უმაღლესი სკოლის კურიკულუმი შექმნილია და მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა სახის სწავლების მეთოდი, როგორიცაა: კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტული სწავლება, ინტერდისციპლინური სწავლება და ასე შემდეგ. სწავლების დაგეგმვისას მასწავლებლები ეცნობიან და იყენებენ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ამერიკული უმაღლესი სკოლის მასწავლებლები იყენებენ შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდს. ამ მეთოდის საშუალებით საკლასო მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დრო უფრო ეფექტიანად გამოიყენება როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების მიერ, რომელთაც მეტი დრო რჩებათ კლასში ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა ინტერაქციული აქტივობის ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული უნარების განვითარებას.
ამერიკულ უმაღლეს სკოლაში მასწავლებლები ხშირად იყენებენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს: დისკუსია, მსჯელობა-დასაბუთება, ტექსტის გაგება- გააზრებისთვის კოგნიტური სქემების გამოყენება, ონლაინ თამაშები (ქვიზები, შეჯიბრებები, ვიქტორინები, ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება) და საკლასო გარემოში ჩატარებული სასწავლო თამაშები. ეს ეხმარება მოსწავლეებს, ხალისით და ინტერესით ჩაერთონ სწავლის პროცესში, უზრდის მათ მოტივაციას და საერთო ჯამში, სწავლის უკეთესი შედეგი მოაქვს.

სკოლის მიზანია, მოსწავლეებს მისცეს საშუალება, მიიღონ ცოდნა და უნარები, რომლებიც მათ მომავალში წარმატების მიღწევაში დაეხმარება, თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.
ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან და აკადემიურ დეკანთან შეთანხმებით, ამერიკული უმაღლესი სკოლის თითოეული მასწავლებელი ადგენს ან აახლებს სილაბუსს საგნებისთვის, რომელსაც ასწავლის.
სილაბუსები ეყრდნობა Common Core (მათემატიკა, ენები და სოციალური მეცნიერებები) და Next Generation (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) სტანდარტებს, რომლებიც მიღებულია ამერიკის 41 შტატის და კოლუმბიის ოლქის, ისევე როგორც მრავალი საერთაშორისო სკოლის მიერ. სილაბუსს თან ერთვის გაკვეთილის გეგმები, რომლებშიც გაწერილია დიფერენცირებული დავალებები მოსწავლეთა დონის შესაბამისად, მათი ინდივიდუალური ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. გაკვეთილის გეგმაში მოცემულია ის კონკრეტული სტანდარტები, რომელთა დაფარვის შესაძლებლობას გაკვეთილის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები იძლევა. გაკვეთილის გეგმებს მასწავლებლები წლის მანძილზე აახლებენ და არგებენ მოსწავლეთა საჭიროებებს.
მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან ტექნიკებს, ვიზუალურ და აუდიო დამხმარე რესურსებს, რათა მოსწავლეებს ინფორმაცია სრულყოფილად მიაწოდონ. ეს ეხმარება მოსწავლეებს მომავალში უკეთ დაგეგმონ თავიანთი სწავლის სტრატეგიები.
იმისათვის, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობები სრულყოფილად შეფასდეს, მასწავლებლები თანამშრომლობენ სხვა საგნების მასწავლებლებთან, დამრიგებლებთან და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. შეხვედრებზე განიხილება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები. შეფასების მეთოდები გამოიყენება მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, მათ დასახმარებლად და კურიკულუმის/სწავლების მეთოდების დასახვეწად.
მასწავლებელთა ინტენსიური შეხვედრები მიზნად ისახავს, მისცეს მოსწავლეებს საკუთარი უნარების სრულად განვითარებისა და გამოვლენის საშუალება.
დიფერენცირებული სწავლება და ინდივიდუალური მიდგომა ამერიკული პროგრამის ძლიერი მხარეა. დიფერენცირება ეფუძნება წინასწარ ჩატარებულ დიაგნოსტირებას (ქვიზი, ტესტირება და სხვა). მასწავლებლები არკვევენ მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებს, გამოცდილებებსა და არსებულ ცოდნას, რის მიხედვითაც ადგენენ სხვადასხვაგვარ დავალებებს, რომლებიც მისცემს მოზარდებს საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალებას.
სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში სამომავლო წარმატებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე. ეს უნარები მოიცავს: ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის უნარს, პროექტებზე მუშაობის, კვლევითი უნარებისა და მეთოდების განვითარებას, ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარს და სხვ. ამის მაგალითები მოცემულია თითოეული საგნის გაკვეთილის გეგმებში.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამერიკული უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, მორგებულია ცალკეული მოსწავლის, მოსწავლეების ჯგუფების და მთელი კლასის საჭიროებებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • Common Core და Next Generation სტანდარტები; • სილაბუსები და გაკვეთილის გეგმები; • ყოველკვირეული შეხვედრების ოქმი; • ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტის ანგარიში; • სკოლის თვითშეფასების ანგარიში; • სასკოლო საზოგადოების ინტერვიურება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. მოსწავლის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ამერიკულ უმაღლეს სკოლაში შეფასება გამოიყენება მოსწავლის სწავლის მხარდასაჭერად; იგი მიზნად ისახავს მოსწავლის აკადემიური მოსწრების რეგულარულ შეფასებასა და შესაბამისად, მოსწავლეების დახმარებას. შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ამერიკულ უმაღლეს სკოლაში შეფასების მეთოდები მრავალფეროვანი და დაბალანსებულია, რათა მოსწავლეს საშუალება მიეცეს, წარმოაჩინოს თავისი ცოდნა. ყოველი შეფასების კომპონენტისთვის გაწერილია შესაბამისი რუბრიკა, რომელშიც დეტალურადაა განმარტებული შეფასების თითოეული ქულა.
ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა შეფასება ყოველდღიურია საგაკვეთილო ცხრილით გათვალისწინებულ ყველა საგანში. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება საგნების მიხედვით და ეფუძნება/ითვალისწინებს ,,Common Core“ და ,,Next Generation“ სტანდარტების მოთხოვნებს. საბოლოო ქულის გამოსათვლელი ფორმულა განმარტებულია მოსწავლისა და მშობლის სახელმძღვანელოში (დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ ბრძანება №1-42/1; 02.09.2020) ასევე სკოლის შეფასების პოლიტიკის დოკუმენტში (დამტკიცებული დირექტორის მიერ 25.09. 2020 ბრძანება №1-49/3) ფორმულა დგება ამერიკის განათლების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული შემდეგი კომპონენტების მიხედვით: ჩართულობა; საკლასო სამუშაო; საშინაო დავალება; პრეზენტაცია; პროექტი; ესსე; თემის შემაჯამებელი (unit) ტესტი; ტესტი/ქვიზი; საშინაო დავალების ტესტი; შემაჯამებელი ესსე; შუალედური გამოცდა; ფინალური გამოცდა; ლაბორატორიული სამუშაო; ჟურნალის წარმოება.
საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე საბოლოო ქულის გამოსათვლელი ფორმულის კომპონენტები ვარირებს საგნების მიხედვით. საბოლოო ქულის პროცენტული რაოდენობა 100 % ნაწილდება მასში შემავალ კომპონენტებზე. თითოეული საგნის სილაბუსში, აგრეთვე სასკოლო ელექტრონულ ჟურნალში ასახულია საბოლოო ქულის გამოსათვლელი კომპონენტები და მათი პროცენტული წილი ნიშანში. საბოლოო ქულის გამოსათვლელ ფორმულას სილაბუსთან ერთად ამტკიცებს აკადემიური დეკანი. თითოეული საგნის სილაბუსი, სადაც მითითებულია საბოლოო ქულის გამოსათვლელი ფორმულა, მისი კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი მოსწავლის საბოლოო ნიშანში, აკადემიური წლის დასაწყისში ეგზავნება მოსწავლეებს და მშობლებს.
თითოეულ კომპონენტში მიღებული ქულა შედის მოსწავლის განმსაზღვრელ შეფასებაში. ამ კომპონენტების შესაბამისი რუბრიკები თან ერთვის შეფასების პოლიტიკის დოკუმენტს. შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება უადვილებს მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის წარმოჩენას.
სემესტრის მანძილზე, ამერიკულ უმაღლეს სკოლაში, ტარდება ერთი შუალედური და ერთი ფინალური გამოცდა ყველა საგანში. გამოცდები შესაძლოა ჩატარდეს წერილობით ან ზეპირად, პრეზენტაციების ან გამოკითხვის სახით, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. გამოცდის ქულა შედის საგნის საბოლოო ქულის გამოსათვლელ ფორმულაში ერთ-ერთ კომპონენტად. ყველა საგნის უმაღლესი ქულა (გარდა ჯუნიორ და სენიორ პროექტებისა) არის 100. მოსწავლეს საგანი ჩაბარებულად ეთვლება, თუ სემესტრის მანძილზე 60 ქულა მაინც დააგროვა.
ქულების განმსაზღვრელი სკალა მოცემულია თანდართულ შეფასების პოლიტიკის დოკუმენტში.
სემესტრის ბოლოს, მოსწავლის ქულების მიხედვით შედგება მისი ნიშნების ფურცელი (Report Card). ორი სემესტრის ქულის საშუალოთი კი გამოითვლება მოსწავლის საბოლოო ქულა თითოეულ საგანში, რაც აისახება საბოლოო ტრანსკრიპტში. ტრანსკრიპტში მოცემულია მოსწავლის GPA (Grade Point Average - საშუალო აკადემიური შეფასება), რომელიც 4.0 ბალიანი სკალით გამოითვლება და ეფუძნება მოსწავლის მიერ ამერიკულ სკოლაში სწავლების პერიოდში მიღებულ ყველა საბოლოო ქულას.
განმსაზღვრელი შეფასების გარდა, მოსწავლეებს წლის მანძილზე ეძლევათ განმავითარებელი შეფასება, მასწავლებლების კომენტარების სახით.

განმავითარებელ კომენტარებს მასწავლებლები მოსწავლეებს გაკვეთილზე ვერბალურად აწვდიან, კვირის ბოლოს კი შეაქვთ ჟურნალში. განმავითარებელი შეფასების ფუნქციას ემსახურება მოსწავლის თვითშეფასება და ურთიერთშეფასების პროცესი. თვითშეფასების დროს, მოსწავლე რეფლექსიის უნარს ივითარებს, რაც აუცილებელია მომავალში სწავლის მეთოდების უკეთ დასაგეგმად. ასეთი ხერხით მას უკეთ ესმის მოთხოვნები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს მაღალი შეფასების მისაღებად. ასევე უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სწავლებისას არის ურთიერთშეფასება, რადგან ის უკუკავშირის გაცემისა და მიღებისთვის საჭირო ხერხია და ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების დანახვაში.
მოსწავლეები წელიწადში სამჯერ ფასდებიან Measure of Academic Progress (MAP -აკადემიური პროგრესის გაზომვა) გამოცდებით ინგლისურ ენასა (კითხვა და გრამატიკა) და მათემატიკაში. MAP გამოცდები ტარდება ელექტრონულად.
გამოცდების დასრულების შემდეგ, სკოლა იღებს თითოეული მოსწავლის უნარების და ცოდნის დამადასტურებელ სრულფასოვან შეფასებას Common Core სტანდარტებთან მიმართებაში. სკოლას წვდომა აქვს მსოფლიოში დადგენილ სტანდარტებზე, რაც სწავლის შედეგების გაანალიზების საშუალებას იძლევა.გამოცდების შედეგების განხილვა ხდება აკადემიური დეკანისა და საგნის მასწავლებლების შეხვედრებზე. ანალიზის შედეგად იგეგმება შემდგომი ღონისძიებები ინდივიდუალურად ყველა მოსწავლისთვის.
სკოლა იყენებს Cognia-ს ეფექტურ სასწავლო გარემოს დაკვირვების მეთოდს (ELEOT), რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო დაკვირვების საშუალება, მასში შედის 28 კომპონენტი, გაერთიანებული შვიდ გარემოში, Cognia-ს სტანდარტების შესაბამისად. საკლასო დაკვირვებები ტარდება მინიმუმ 20 წუთის განმავლობაში. კვალიფიციური და სერტიფიცირებული დამკვირვებლები ამოწმებენ პროცესების დანერგვის, ხარისხის და კომპლექსურობის დონეს; მონაწილე მოსწავლეების რაოდენობას და გამოყენების ინტენსივობას. ELEOT-ის შედეგები ფიქსირდება ერთიდან ოთხ ქულამდე შეფასების შკალაში. დაკვირვების შედეგებთან ერთად, ფიქსირდება გასული წლის ყველა დაკვირვების საშუალო მაჩვენებელი, შედეგების შესადარებლად. ELEOT უზრუნველყოფს გამოსადეგ, რელევანტურ, სტრუქტურირებულ და რაოდენობრივად გამოსახვად მონაცემებს, რამდენად არიან მოსწავლეები ჩართულნი აქტივობებში ან/და ავლენენ ცოდნას, მიდგომებს, პოზიციებს, რაც მნიშვნელოვანია ეფექტური სწავლებისთვის.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამერიკულ უმაღლეს სკოლაში მოსწავლის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- Common Core და Next Generation სტანდარტები;
- შეფასების პოლიტიკის დოკუმენტი;
- სილაბუსების ნიმუშები;
- MAP გამოცდების შედეგების ანალიზი;
- MAP გამოცდების მოსწავლის პროფილის ნიმუში;
- მოსწავლეთა შემაჯამებელი შეფასების ანალიზი;
- ნიშნების ფურცლის და ტრანსკრიპტის ნიმუში;
- ELEOT კვლევა;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიურება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა შეფასება ყოველდღიურია საგაკვეთილო ცხრილით გათვალისწინებულ ყველა საგანში. წლის დასაწყისში, ყველა მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს, თუ რა კრიტერიუმებით ფასდებიან ისინი მოცემულ საგანში და შესაბამის რუბრიკებს. მოსწავლეები მსჯელობენ შეფასების კომპონენტებზე, იაზრებენ რა მოეთხოვებათ მათ და შესაბამისად გეგმავენ სწავლის პროცესს. მასწავლებლები ასევე განუმარტავენ მოსწავლეებს, თუ რა სახის დავალებები ექნებათ მათ შესასრულებელი საკლასი და საშინაო სამუშაოების დროს და როგორ მოხდება კონკრეტული კომპონენტის შეფასება.

ამერიკული უმაღლესი სკოლის მიზანია, სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე. ამ მიზნით, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს და მოსწავლეებს ეგზავნებათ სრული საინფორმაციო პაკეტი, რომელიც მოიცავს სკოლის შესახებ პრეზენტაციას, სკოლის პოლიტიკის დოკუმენტებს, საგნების სილაბუსებს,

შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაციას და ა.შ. და უტარდებათ საორიენტაციო/საინფორმაციო შეხვედრები.
ყოველდღიური შეფასების შედეგად, მოსწავლეები მუდმივად ადევნებენ თვალს თავიანთ პროგრესს. კვირის ბოლოს, ამერიკული უმაღლესი სკოლის ელექტრონულ ჟურნალში - Quickschools - მასწავლებლები თითოეულ მოსწავლეს უკეთებენ განმავითარებელ კომენტარს მათი მუშაობის შესახებ. კომენტარების მიზანია, მოსწავლეებს დაანახოს, თუ რა გააკეთეს კარგად და რა გზით შეუძლიათ მათ პროგრესი კონკრეტულ საგანში. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლის დამრიგებელს და მშობელს, შესაბამისად ინფორმაცია მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეს. მოსწავლეებს მსგავსი უკუკავშირი მიეწოდებათ გაკვეთილების მსვლელობისას, ზეპირსიტყვიერადაც.
სწავლების პროცესში გამოყენებული განმავითარებელი შეფასების მეთოდები, როგორიცაა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, აძლევს მოსწავლეებს საკუთარ ცოდნასა და უნარებზე რეფლექსიის საშუალებას და უვითარებს მას საკუთარი და სხვისი ნაშრომის ობიექტურად შეფასების უნარს.
შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამერიკულ უმაღლეს სკოლაში მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გაკვეთილის გეგმების ნიმუშები;
- ელექტრონული ჟურნალის სურათები;
- მოსწავლეების ურთიერთშეფასების ფორმა (ნიმუში);
- ევროპული სკოლის პოლიტიკის დოკუმენტაცია.
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების, სტატუსის მინიჭებისა და შენარჩუნების წესი;
- ELEOT დაკვირვების ფორმა;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიურება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐

3. მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის განვითარების საჭიროებები, მოსწავლეს შეუძლია მიიღოს მისი მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო კონსულტაცია და დახმარება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ამერიკული უმაღლესი სკოლის“ საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებზე ზრუნვა. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია და ფუნქციონიორებს მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრი და კეთილდღეობის სამსახური. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის მიზანია მოსწავლეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, ხელშეწყობა და მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევების გაუმჯობესება. კეთილდღეობის სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, ფსიქოლოგთა გუნდი და ბავშვთა

უფლებათა დაცვის ოფიცერი. თითოეული მათგანი თავის ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის საქმიანობას.

მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრში მოქმედი სწავლის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მოსწავლეებს, რომლთაც სხვადასხვა საგანში სჭირდებათ ხელშეწყობა, უცხოეთიდან ჩამოსულ მოსწავლეებს (არ აქვთ გავლილი ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია) და იმ შემთხვევაში, თუ არიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულნი.

ასეთი ბავშვებისთვის სკოლა წინასწარ ადგენს განრიგს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობისათვის.

კეთილდღეობის სამსახურს აქვს შემუშავებული სპეციალური პროგრამები განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

სამსახურის წარმომადგენლები აკვირდებიან მოსწავლეთა ქცევას საგაკვეთილო პროცესში და ზრუნავენ მოზარდთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე, ასევე თანამშრომლობენ საგნის მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებლებთან, რათა მოხერხდეს პრობლემის იდენტიფიცირება, მისი სიღრმისეული გააზრება და გადაჭრის გზების დაგეგმავა/განხორციელება.

მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინებით, წარმატების მიღწევისა და ხელშეწყობისათვის სკოლის სასწავლო გეგმები მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კლასგარეშე ინტელექტუალურ შემოქმედებით და სპორტულ კლუბებში გაერთიანებას. სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება გაწევრიანდეს ამ კლუბებში:

რობოტიქსი ; ეკოკლუბი; ქიმიის მოყვარულთა კლუბი; სახალისო მათემატიკა; ფეხბურთის კლუბი; ჩოგბურთის კლუბი; კალათბურთი კლუბი; კარატეს კლუბი; ჭადრაკის კლუბი; ფრანგული ენის კლუბი; რუსული ენის კლუბი; გიტარის კლუბი; ჰიპ-ჰოპის კლუბი; ბალეტის კლუბი; თეატრალური სტუდია; ხატვის კლუბი.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ უმაღლეს სკოლაში კლასები მცირერიცხოვანია და შესაბამისად მასწავლებლებს უადვილებს უკეთ დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეებთან მუშაობა, სკოლამ მაინც შექმნა და აამოქმედა Study Hall-ი. რომელიც სისტემატურ მონიტორინგს უკეთებს ამერიკული სკოლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას და საჭიროებისამებრ გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს: დამატებით გაკვეთილებს, მოსწავლეთა ინდივიდუალურ კონსულტაციებს და ა.შ.

ამერიკული სკოლა, იმ მოსწავლეებს რომლელთაც აქვთ ენობრივი ბარიერი ქართულ ან ინგლისურ ენებში, სთავაზობს დამატებით გაკვეთილებს, რათა უცხოელმა თუ ქართველებმა მოსწავლეებმა მოახერხონ ენის დახვეწა და აკადემიური ჩამორჩენის აღდგენა. აღნიშნულ აქტივობებზე პასუხისმგებელია გახანგრძლივებული სამსახურის ზედამხედველი და პროცესში ჩართულია ქართული და ინგლისური ენების პედაგოგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის დებულება;
- მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- მოსწავლეთა დახმარების ცენტრის დებულება;
- მოსწავლეთა დახმარების ცენტრის სამოქმედო გეგმა;
- კლუბების აღწერა;

- დამატებითი გაკვეთილების აღრიცხვა;
- მოდიფიცირებული/ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- მშობელთა კითხვარების ნიმუში;
- ინკლუზიის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ანტიბულინგის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ბავშვთა უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- ინტერვიუ-მოსწავლეებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- Study Hall-ი. რომელიც სისტემატურ მონიტორინგს უკეთებს ამერიკული სკოლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას და საჭიროებისამებრ გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს: დამატებით გაკვეთილებს, მოსწავლეთა ინდივიდუალურ კონსულტაციებს და ა.შ.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ მათი ცოდნისა და უნარებიდან გამომდინარე წარმატებების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დღევანდელი მონაცემებით ამერიკული უმაღლესი სკოლის 39 მოსწავლეს აქვს მიღებული AP Scholar სერთიფიკატი, 18-ს - AP Scholar with Honor და 10-ს AP Scholar with Distinction. ამერიკული უმაღლესი სკოლის კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება საუნივერსიტეტო დონის საგნები შეისწავლონ. ეს არჩევითი AP საგნები, აძლევს მოსწავლეს საშუალებას გამოიმუშავოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ამ AP საგნების წარმატებით დაძლევის (გამოცდის დამაკმაყოფილებლად ჩაბარება) შემთხვევაში მოსწავლეს საერთაშორისო უნივერსიტეტებში მიღებისას უპირატესობა ენიჭება.

AP საგნების წარმატებით ჩაბარებისთვის, CollegeBoard (კოლეჯ ბორდი) მოსწავლეებს ანიჭებს წარჩინების სტატუსს: AP Scholar - მოსწავლე, რომელმაც სამი ან მეტი AP გამოცდა წარმატებით ჩააბარა; AP Scholar with Honor - მოსწავლე რომელმაც 4 ან მეტი გამოცდა წარმატებით ჩააბარა; AP Scholar with Distinction - მოსწავლე, რომელმაც 5 ან მეტი გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

ორი წელია ამერიკულ უმაღლეს სკოლაში დაინერგა ამერიკის განათლების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ამერიკის პრეზიდენტის ოქროსა „Presidential Award for Educational Excellence (Gold)“ და ვერცხლის ჯილდო „Presidential Award for Educational Achievement (Silver)“. ჯილდო არა მხოლოდ აკადემიური წარმატების, არამედ კლასგარეშე აქტივობებით წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცემათ, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებსა თუ პროექტებში, რომელიც სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებასა და თვითაქტუალიზაციაში ეხმარება.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ სკოლის დასრულების შემდეგ წარმატების მიღწევის საუკეთესო შანსი, სკოლაში ფუნქციონირებს საუნივერსიტეტო განათლების ოფისი. სკოლის დამამთავრებელ კლასებში (11-12 კლასები), მოსწავლეებს მომავალი კარიერის დაგეგმვისა და საკუთარი მიზნებისა და ნიჭის სრულფასოვნად გამოყენების მიზნით ეხმარება კვალიფიციური მრჩეველი.

სკოლაში ფუნქციონირებს საუნივერსიტეტო განათლების ოფისი, რომლის მრჩეველიც მოსწავლეებს ეხმარება კარიერის დაგეგმვაში. ის აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა უნივერსიტეტების ჩარიცხვისა და დაფინანსების პრინციპებს, სთავაზობს მათი ინტერესებიდან გამომდინარე განსხვავებულ ვარიანტებს, რომლის განხილვაც შემდეგ მშობლებთანაც არის შესაძლებელი.

ჯამურად, 2017-2021 წლების კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო დაფინანსება, 2 915 285 ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამ სტიპენდიებს შორის უნივერსიტეტების პრეზიდენტების სახელობის, მაღალი აკადემიური მოსწრების, სტანდარტიზებულ ტესტებში მიღწეული წარმატებების, გლობალური მოქალაქეობის დასხვადსხვა დაფინანსებაა.

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენელთა ვიზიტები ევროპულ სკოლაში, NACAC-ის (National Association for College Admission Counseling) წევრობა, მემორანდუმი ამერიკის უნივერსიტეტთან ბულგარეთში, ინტენსიური შეხვედრები მოსწავლეებთან და მშობლებთან იძლევა იმის გარანტიას, რომ სკოლის კურსდამთავრებულები მომზადებულები შეხვდებიან ცხოვრების შემდგომ ეტაპს და მაქსიმალურად გამოიყენებენ სკოლაში მიღებულ უნარებსა და გამოცდილებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ამერიკული უმაღლესი სკოლის მატრიკულაცია;
- წარჩინებულ მოსწავლეთა სერტიფიკატების ნიმუშები;
- არჩევითი და სავალდებულო საგნების ჩამონათვალი;მრჩეველის მიერ ჩატარებული შეხვედრების პრეზენტაციები და ოქმები;
- ინტერვიუ - მოსწავლეებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან მასწვალებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3. მოსწავლეებს აქვთ თვითრეალიზაციის საშუალება, დაწესებულება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებასა და მოსწავლეთა მიღწევების წახალისებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპული სკოლის და კერძოდ ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სასკოლო გადაწყვეტილებების მიღებაში წამოაყენონ იდეები, მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება. სკოლას ბევრი აქტივობა აქვს დაგეგმილი და განხორციელებულიც, რომელიც აძლევს საკუთარი აზრისა და პოზიციის დაფიქსირების საშუალებას.

ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი არის მოსწავლეთა პარლამენტი, რომლის დებულებაშიც გაწერილია პარლამენტის წევრების არჩევისა და უფლება-მოვალეობების შესახებ. მოსწავლეთა პალამენტის წევრი შეიძლება იყოს VI-XII კლასის ნებისმიერი მოსწავლე, რომელიც ჯეროვნად იცავს სკოლის შინაგანაწესს. კლასიდან ირჩევენ 2 წევრს, ფარული კენჭისყრით. ასევე არის მოსწავლეთა კომიტეტები, რომლებიც VI-VIII კლასის მოსწავლეებისგან შედგება და კომისიები. პარლამენტი იკრიბება თვეში ერთხელ, მათ შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმა, რაზე მუშაობის დროსაც მაქსიმალურად ითვალისწინებენ იდეებსა და შეთავაზებებს. პარლამენტის წევრები გამოსცემენ ყოველთვიურ ბეჭდურ და ციფრულ გაზეთს, სადაც აქვთ სრული თავისუფლება რუბრიკის, საკითხის შინაარსისა და დიზაინის შემუშავებაში.

სკოლის დებატკლუბი შექმნილია მოსწავლეთა პალამენტის ინიციატივით, სადაც თიტოეულ მოსწავლეს აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს დებატებში, არგუმენტირებულად იმსჯელოს და მოისმინოს სხვათა აზრი მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე.

სკოლის ფორმის დიზაინში ცვლილებების, კორექტივების შეტანის სესახებ უფლება აქვთ წამოაყენონ ინიციატივა.

სკოლა საშუალებას აძლევს უმაღლესი ამერიკული სკოლის პროგრამის მოსწავლეებს დაესწრონ ევროპის საბჭოს სესიებზე, ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის შეკრებებზე, მონაწილეობა მიიღონ სახვადასხვა საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებზე. ყოველივე ამას ხელს უწყობს თანამშრომლობა ისეთ ორგანიზაციებთან როგორიცაა „კანტისა აკადემია“ და „ახალგაზრდა ლიდერები მშვიდობისა და განვითარებისათვის“.

სკოლას ასევე აქვს გამოცდილება თვითმმართველობის დღის ჩატარების გამოცდილება, რომლის დროსაც მოსწავლეები ირგენბენ ადმინისტრაციის ფუნქციებს და ცდილობენ მიიღონ გადაწყვეტილებები არსებული წესების გათვალისწინებით. ეს აქტივობა არის საშუალება საკუტარი შესაძლებლობების რეალიზება მოახდინონ მოსწავლეებმა მაქსიმალურად რეალურთან მიახლოებულ სიტუაციაში და დაინახონ ის პრობლემები, რომელზეც ხშირად არც კი დაფიქრებულან მოსწავლის პოზიციიდან.

სკოლაში ყოველწლიურად ხორციელდება TEDx ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეებს ფართო საზოგადოებისათვის საკუთარი იდეები გააცნობის საშუალებას აძლევს. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი, როგორც საერთაშორისო ასევე საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და კონკურსებში. (2020 წლის

1. დიდი ბრიტანეთის კლასიკოსთა ასოციაციის The Lytham St Annes CA-ის მიერ გამართულ კლასიკის საერთაშორისო კონკურსში.
2. English Speaking Union Competition საერთაშორისო საჯარო მეტყველების კონკურსში;
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის თაოსნობით 2021 წლის 24-27 თებერვალს ჩატარდა საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია.
4. „კლასიკური ენების სწავლება XXI საუკუნეში - Vitae Discimus;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასგარეშე აქტივობების კალენდარი;
- მოსწავლეთა პარლამენტის დებულება/შეხვედრის ოქმი;
- ევროპული სკოლის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები - მემორანდუმები;
- პროფესორ-მასწავლებელთა დამატებითი თემატური ონლაინ ლექციები;
- ამერიკული უმაღლესი სკოლის გაზეთი;
- მოსწავლეთა პარლამენტის გაზეთი;
- ევროპული სკოლის გაზეთი;
- სხვადასხვა კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები, ფოტო, ვიდეო მასალა;
- თვითმართველობის დღის ფოტოები;
- ინტერვიუ - მოსწავლეებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
3. მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1. საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი მონაწილეობს მათი საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ევროპულ სკოლაში“ მოქმედებს პროფესიული განვითარების წესი. რომელიც არეგულირებს პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და ორგანიზების პროცედურას. წესი მიზანდ ისახავს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განვითარების ხელშეწყობას და მოსწავლეებისთვის საჭირო გარემოს შექმნას, შესაბამისად, სკოლის ყველა დასაქმებულს აქვს საშუალება ჩაერთოს მისთვის საჭირო პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. პროფესიული განვითარების გეგმა იქმნება ყოველწლიურად, პერსონალის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. მოთხოვნილებების იდენტიფიკაცია ხდება წლის განმავლობაში, გაკვეთილებზე დასწრებების, თვითშეფასებების, სხვადასხვა კითხვარების გამოყენებით. სკოლა წაახალისებს პერსონალის მიერ გამოჩენილ ინიციატივას, იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და გამოყოფს შესაბამის ბიუჯეტს. პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მენეჯერი, რომელიც თანამშრომლობს ამერიკული უმაღლესი სკოლის ადმინისტრაციასთან და საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, რათა დაადგინოს დასაქმებულთა საჭიროებები. იდენტიფიცირებული საჭიროებების მიხედვით გაიწერება ტრენინგების/ვორქშოფების/კურსების გეგმა, რომლებიც შესაძლოა ჩატარდეს სკოლაში, ადგილობრივად, საზღვარგარეთ და ონლაინ. ამერიკული უმაღლესი სკოლის მასწავლებლები ესწრებიან როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ტრენინგებს. ისინი

აქტიურად მონაწილეობენ CollegeBoard-ის მიერ შეთავაზებულ ვორქშოფებში, რაც ეხმარება მათ Advanced Placement საგნების კურიკულუმის დახვეწასა და გამართვაში.

ტრენინგებში მონაწილეობის შემდეგ მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას, ავსებენ შეფასების ფორმას, რის საფუძველზეც ხდება ამა თუ იმ აქტივობის ეფექტურობის შეფასება, რასაც დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ.

სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სქემა, რის საფუძველზეც მასწავლებლები ფასდებიან შესაბამისი მრავალკომპონენტიანი კრიტერიუმების მიხედვით. ამერიკულ უმაღლეს სკოლაში მასწავლებლების შეფასებისა და მათი შედეგების ანალიზისთვის ასევე გამოიყენება ELEOT (Effective Learning Environment Observation Tool - ეფექტურ სასწავლო გარემოზე დაკვირვების ფორმა) რუბრიკა. ELEOT ფორმა აფასებს საკლასო გარემოს ორგანიზებას და დაგეგმვას, კომუნიკაციას მასწავლებელს და მოსწავლეს შორის, რესურსების გამოყენების მეთოდებს და ა.შ. სემესტრის ბოლოს ხდება გაკვეთილზე დასწრებების შედეგების შეფასება და ანალიზი და შესაბამისად ტრენინგების დაგეგმვა.

აღსანიშნავია სკოლაში არსებული მენტორობის პრაქტიკა. გამოცდილი მასწავლებლები ეხმარებიან ახალბედა მასწავლებლებს მათ გაკვეთილების დაგეგმვაში და სკოლის მუშაობის სისტემის სწრაფად გაცნობაში, ესწრებიან ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილებს, იხილავენ და საზღვრავენ საჭიროებებს. ასევე მნიშვნელოვანია, ახალბედა პედაგოგების დასწრება მენტორ მასწავლებლის გაკვეთილებსა და კლასგარეშე აქტივობებზე.

ბოლო 2-3 წლის განმავლობაში სკოლის პროფესიული განვითარების მთავარი მიმართულება ციფრული კომპეტენციების განვითარება იყო მასწავლებლებში. მოთხოვნის შესაბამისად სკოლამ დაგეგმა ტრენინგები სხვადასხვა ციფრული საშუალებების გამოყენების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროფესიული განვითარების წესი;
- პროფესიული განვიტარების ბიუჯეტი;
- ევროპული სკოლის მასწავლებლის პროფესიული განვიტარების, სტატუსის მინიჭების და შენარჩუნების წესი;
- ELEOT-ის შეფასების ფორმა;
- ELEOT-ის შედეგების ანალიზი;
- პროფესიული განვითარების მონაცემები;
- მენტორი მასწავლებლის ამსახველი ოქმი;
- მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები - სწავლებისას ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა;
- ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტის მიერ ჩატარებული ტრენინგების სია/დამსწრე მასწავლებლების სია;
- ინტერვიუ - მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობა და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
ევროპული სკოლის სასწავლო და მატერიალური ბაზა (ტექნიკური აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობა) და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად.

სასწალო რესურსების შერჩევა ხდება ყოველწლიურად, რაშიც ერთვებიან საგნობრივი დეპარტამენტები, მასწავებლებლები, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, იურისტი, სკოლის ადმინიტრაციული მენეჯერი და დირექტორი. რესურსების შერჩევა პროგრამული სპეციფიკაციის საფუძველზე ხდება და შეესაბამება Common Core-ის სტანდარტებს. შერჩეული რესურსებით უზრუნველყოფა ხდება სასწავლო წლის დაწყებამდე. ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს თანაბარი წვდომა შერჩეულ რესურსსა თუ სახელმძღვანელოზებიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული რესურსები. ციფრულ რესურსებზე წვდომა მომხმარებლებს სკოლის გარეთაც აქვთ. სკოლის მიერ წარმოდგენილია ბიბლიოთეკის რესურსების სია:

1. 14000-მდე ბეჭდური რესურსი მრავალ ენაზე;
2. ელექტრონული სამეცნიერო ბაზები: Jstor, Britannica School, Turnitin, Learning A-Z, Learning Zone;
3. ელექტრონული ლექსიკონები (9);
4. მასწავლებლის რესურსები;
5. პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა (Turnitin), რომელიც ტექსტებს შორის მსგავსების დადგენასა და პლაგიატის აღმოჩენას ემსახურება.

ევროპული სკოლის ფინანსური პოლიტიკის დოკუმენტი და სკოლის ბიუჯეტი ეფუძნება სასკოლო პრიორიტეტებს. სკოლის მიზანია იყოს ინოვატორი. ამ მიზნით დაინერგა STEAM განათლების იდეა ევროპულ სკოლაში. STEAM განათლება უზრუნველყოფს ტექნოლოგიური, საინჟინრო, ხელოვნების და მათემატიკის დისციპლინების მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაზრდას, პრობლემის გადაჭრის კრეატიული და ინოვაციური მიდგომების უნარების განვითარებას, მოსწავლეთა მომზადებას ტექნოლოგიურად სწრაფადცვალებად სამყაროში სიახლეების და ცვლილებების გაანალიზებისთვის და კავშირის აღქმას სასწავლო პროცესსა და მომავალ კარიერას შორის. STEAM განათლების მიზნებს ხელს უწყობს სკოლის შენობაში ფაბლაბის ჩამოყალიბება, კომპიუტერული ლაბორატორიები, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და ციფრული რესურსების მრავალფეროვნება.

ევროპულმა სკოლამ რამდენიმე წლის წინ დაიწყო BYOD (მოიტანე შენი საკუთარი მოწყობილობა - Bring Your Own Device) პროგრამა. პროგრამის მიხედვით, მოსწავლეებს შეუძლია სკოლაში მოიტანონ მობილური მოწყობილობა და გამოიყენონ მხოლოდ აკადემიური მიზნებისთვის. BYOD პროგრამის დანერგვას აქვს მნიშვნელოვანი შედეგები: იზრდება მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, სწავლება მოსწავლეებზეა ორიენტირებული, იზრდება მოსწავლეებს და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა და კომუნიკაცია.

სკოლაში შექმნილია ციფრული ტრანსფორმაციის მუდმივმოქმედი კომიტეტი. კომიტეტის თაოსნობით სკოლაში იმართება სხვადასხვა ტექნოლოგიური აქტივობები, რომელიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს განივითარონ 21-ე საუკუნის ციფრული უნარები. აღნიშნული ამოცანების განხორციელებისთვის სკოლას გააჩნია უახლესი ციფრული საგანმანათლებლო ტექნოლოგიები.

კომპიუტერული ლაბორატორიებში მუშაობა შესაძლებელია MS Windows, ასევე Mac iOS ოპერაციულ სისტემების გამოყენებით, როგორც მასწავლებლების ასევე მოსწავლეებისათვის. ოთხი ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით (Desktop Computers), ხოლო ერთი – ლეპტოპ კომპიუტერებით, რომლებიც ჩართულია ინტერნეტში. ასევე არის ინტერქტიულ დაფის (IWB), პრინტერის, სკანერის, ვებკამერის, ყურსასმენების გამოყენების საშუალება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის და სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. ყველა საკლასო ოთახში და საკონფერენციო დარბაზებში დამონტაჟებულია პროექტორები. სკოლის შენობა სრულად აღჭურვილია უკაბელო Wi-Fi ტექნოლოგიით.

სკოლაში ფუნქციონირებს:
1. 3 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია
2. Mac ლაბორატორიის კლასი
3. კომპიუტერით პროგრამირებადი დანადგარებით აღჭურვილი სივრცე - FabLab
4. 4 კომპიუტერული კლასი
5. სააქტო დარბაზი
6. 2 საკონფერენციო ოთახი
7. 2 ბიბლიოთეკა
8. 1 ინგლისურის კლუბის ოთახი და უცხო ენების სწავლებისთვის განკუთვნილი MLL – Multimedia
9. Language Lab ლაბორატორია
10. 3 ხელოვნების სტუდია
11. ტიპოგრაფია
12. სკოლის TV სტუდია
13. სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტებით და შესაბამისი ინვენტარით.
14. სამზარეულო და სასადილო დარბაზები;
15. 6 გასახდელი სივრცე.
16. FABLAB ლაბორატორია აღჭურვილია შემდგომი ხელსაწყოებით:
16.1. ლაზერული მჭრელი
16.2. 3D პრინტერი
16.3. პროგრამირებადი ჩარხი (CNC)
16.4. სასერი პლოტერი
16.5. ეკოსოლვენტური პრინტერი
16.6. ვაკუუმ ფორმირების აპარატი
16.7. ინდუსტრიული რობოტები
16.8. UV პრინტერი
16.9. საქარგავი და საკერავი მანქანა
17. სკოლის ტექნოლოგიური აღჭურვილობა:
17.1. კომპიუტერი - 293
17.2. ლეპტოპი - 123
17.3. პრინტერი - 46
17.4. ნეთბუქი - 30
17.5. ტაბლეტი PC – 13
17.6. გრაფიკული სახატავი პლანშეტი - 30
17.7. დოკუმენტ კამერა - 100
17.8. საკონფერენციო ვებკამერა - 80
17.9. პროექტორი - 90
17.10. ინტერაქტიული დაფა - 40
17.11. SMART მაგიდა - 2

მოსწავლეებთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა, რამდენად აქტიურად იყენებ ზემოთ ჩამოთვლილ აღჭირვილობას სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობების დროს, რაც ეხმარება სწავლების ინტერაქციას და ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის დებულება და გზამკვლევი;

- ICT ლაბორატორიების და ფაბლაბის აღწერა;
- ლაბორატორიების გამოყენების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ევროპულ სკოლასთან შეთანხმებით ტექნოლოგიების გამოყენების გრაფიკი;
- ევროპული სკოლის ტექნოლოგიური აღჭურვილობის სია;
- ტექნოლოგიური გეგმა;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ტექნოლოგიების გამოყენების სახელმძღვანელო მშობლებისა და მოსწავლეებისთვის;
- ელექტრონული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ინფრასტრუქტურის ფოტოები;
- https://europeanschool.ge/ სკოლის ვიდეო ტური და 3D ტური;
- ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტის ანგარიში.
- ინტერვიუ - მოსწავლეებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან მასწვალებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. სკოლას შემუშავებული აქვს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმაში განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების მექანიზმები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ევროპულ სკოლას შემუშავებული აქვს მოკლევადიანი - ერთწლიანი(დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2020 წლის 03ივლისს) და გრძელვადიანი - ექვსწლიანი (2018-2023წლები) გეგმები. გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს „ევროპული სკოლის“ განვითარების გეგმას, სადაც წარმოდგენილია მისია, ღირებულებები, მისწრაფებები და დეტალურადაა განხილული სკოლის წინაშე არსებული გამოწვევები, მათზე საპასუხო ნაბიჯები. სტრატეგიული გეგმა მიზნებს ჰყოფს შვიდ ფართო კატეგორიად: 1. მოსწავლის წარმატება; 2. სწავლა და სწავლება; 3. გლობალური განათლება / კულტურათაშორისი სწავლება; 4. გარე პროფილი / მარკეტინგი და კომუნიკაცია; 5. ტექნოლოგია; 6. ადამიანური რესურსები; 7. საშუალებები და რესურსები. ჩამოთვლილი კატეგორიები სტრატეგიულ გეგმაში ჩაშლილია მიზნების სახით და საერთოა მთელი სკოლისთვის. ყველა მიზანში მოიაზრება თითოეული პროგრამა(შეაბამისად ამერიკული უმაღლესი სკოლაც), ყველა მოსწავლე და მასწავლებელი. სტრატეგიული გეგმა გაწერილია წლების მიხედვით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არის შემუშავებული ასევე „ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამისათვის“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2020 წლის 07 აგვისტოს, ბრძანება N1-37/1. სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებად განისაზღვრა შემდეგი: 1. სასკოლო-სასწავლო გეგმის შემუშავება და სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვა; 2. მოსწავლეთა აკადემიური პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვა; 3. მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა სასწავლო პროცესსა და კლასგარეშე აქტივობებში და მათი მოტივაციის ამარლება; 4. მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა საერთაშორისო პროექტებში; 5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 6. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება; 7. სამოქმედო გეგმის შეფასება. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია ერთ სასწავლო წელს განსახორციელებელი აქტივობები, რომლებიც გამომდინარეობს გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდან და ეყრდნობა ანალიზით გამოწვეული საჭიროებებს. აქტივობები/ღონისძიებები

უზრუნველყოფენ დასახული მიზნების მიღწევას, განსაზღვრულია ვადები, პასუხისმგებელი პირები და მიზნის მიღწევის მტკიცებულებები. წლის ბოლოს ხდება შეჯამება, მსჯელობა განხორციელებული აქტივობების, მიღწეული და მისაღწევი მიზნების შესახებ, რის საფუძველზეც შეუსრელებელი ან ნაწილობრივ განხორციელებული აქტივობები იმავე ან სახეცვლილი ფორმით გადადის შემდეგი მომდევნო წლის გეგმაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპული სკოლის სტრატეგიული ერთწლიანი გეგმა;
- ევროპული სკოლის სტრატეგიული ექვსწლიანი გეგმა;
- ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- ტექნოლოგიური გეგმა.
- ინტერვიუ - მოსწავლეებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან მასწავლებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის ამაღლების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე „ ციკლს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ამერიკული უმაღლეს სკოლის პროგრამის ფარგლებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი პასუხისმგებელია ახორციელებს საკუთარი მუშაობის ხარისხის მონიტორინგს და ზრუნავს მის ამაღლებაზე. სტრატეგიული გეგმების და სამოქმედო გეგმის შედგენის დროს როგორც სხვადსხვა მიმართულებით ასევე პროფესიული განვითარების კუთხით იგეგმება სხვადასხვა ღონისძიება, სკოლის მისიასა და ხედვაზე დაყრდნობით. ღონისძიებების დასახვა ხდება შემუშავებული კითხვარების, მათი საშუალებით ამორებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე. სამოქმედო გეგმაში გაწერილია SWOT ანალიზის შედეგები და ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ. სკოლას ჩამოყალიბებული აქვს სამწლიანი ტექნოლოგიური გეგმა, რომელშიც გამოყოფილია ამ მიმართულებით სკოლის ძირითადი პრიორიტეტები: 1. მასწავლებელთა ტექნოლოგიური უნარების განვითარება; 2. მოსწავლეების ტექნოლოგიური უნარების და ციფრული მოქალაქეობის ცნობიერების განვითარება; 3. სკოლის უზრუნველყოფა უახლესი ტექნოლოგიური რესურსებით და მოწყობილობებით და სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, მონაცემთა შეგროვება და შეფასება, განვითარების შემდგომი გზების დასაგეგმად. პრიორიტეტების მიხედვით დაგეგმვის შემდგომ, იწყება ღონისძიებების განხორციელებაზე ზრუნვა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადასხვა აქტივობებით, მაგალითად, გაკვეთილებზე მასწავლებელთა

ურთიერთდასწრებით და ადმინისტრაციის დასწრებით, სპეციალური ფორმების გამოყენებით (მასწავლებლის შეფასების სქემა, ELEOT ფორმა).

გარდა ამისა, ყოველკვირეულად მასწავლებლები ადგენენ ანგარიშს, სადაც აღწერილია მათ მიერ კვირის მანძილზე ჩატარებული სამუშაო, რაც საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას, თვალი ადევნოს სკოლაში მიმდინარე პროცესებს. წლის მანძილზე მუდმივად მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები მასწავლებლებთან, რათა მოხდეს სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება. სკოლის აკადემიური დეკანი ყოველკვირეულად აგზავნის მოხსენებას კვირის მანძილზე დეგეგმილი/განხორციელებული აქტივობების შესახებ სკოლის ხელმძღვანელთან. ყოველი სემესტრის ბოლოს, ამერიკული უმაღლესი სკოლის ადმინისტრაცია წარადგენს ანგარიშს ევროპული სკოლის დირექტორის წინაშე იმის შესახებ, თუ რა იყო დაგეგმილი სემესტრის მანძილზე და რა განხორციელდა.

სწავლების პროცესი ექვემდებარება გეგმიურ შემოწმებას და ანგარიშგებას. ამისათვის ხდება გაკვეთილებზე დასწრება და შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება, მოსწავლეთა მიღწევის ანალიზი, მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარების შედეგების ანალიზი, მასწავლებლების მიერ თვითშეფასების ფორმების წარმოება, საგნობრივი დეპარტამენტების თვითშეფასება, პროფესიული განვითარებების აქტივობების შედეგებზე დაკვირვება და შესაბამისი აქტივობების განსაზღვრა.

2020-2021 სასწავლო წელს ჩატარდა საგნობრივი დეპარტამენტების ციფრული ტექნოლოგიების კვირეული, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა ჩაატარეს გაკვეთილები შესაბამისი ციფრული რესურსების და ტექნოლოგიების გამოყენებით. ჩატარებულ გაკვეთილებს ესწრებოდნენ სკოლის ხელმძღვანელები, დეპარტამენტის ხელმძღვანელები და IT დეპარტამენტის წარმომადგენლები. კვირეულის დასრულებისას შეფასდა მასწავლებლების ციფრული უნარები, რის საფუძველზეც დაიგეგმება და ნაწილობრივ უკვე განხორციელდა შემდგომი ტრენინგები მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

სასწავლო წლის ბოლოს ხდება შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების მიზეზების დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად. ამ მიზნით მასწავლებლებთან ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრების დროს ეცნობებათ წლის შემაჯამებელი ანგარიში და ეძლევათ უკუკავშირის საშუალება, განსაკუტრებიტ მნიშვნელოვანია მასწავლებლების მიერ გამოტქმული რეკომენდაციები, რომელზე დაყრდნობითაც აუცილებლად დაიგეგმება პროფესიული განვითარების მომდევნო ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ამერიკული უმაღლესი სკოლის სემესტრული ანგარიში;
- ევროპული სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ევროპული სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ამერიკული უმაღლესი სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;
- ELEOT-ის დაკვირვების ფორმა;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების, სტატუსის მინიჭების და შენარჩუნების წესი;

- ციფრული ტექნოლოგიების კვირეულის შეფასების ნიმუში - IT სპეციალისტი/დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია სასკოლო გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სკოლას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია (2020წლის 20 ნოემბრის ბრძანება N1-300) მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სქემა, რომელიც მასწავლებლისთვის კომპეტენციის ჩარჩოს განსაზღვრავს. სტანდარტის საფუძველზე შეიქმნა დაკვირვების ფორმა, რომლის მეშვეობით დეპარტამენტის ხელმძღვანელი წლის განმავლობაში მასწავლელის მუშაობას აფასებს. დოკუმენტის და შეფასების ფორმის მასწავლებლებს დამტკიცებისთანავე გააცნეს.
მასწავლებლის პროფესიული განვითარების, სტატუსის მინიჭების და შენარჩუნების წესში არის წარმოდგენილი შეფასების ფორმები:
დანართი 1. დამკვირვებლის შეფასების ფორმა , რომელიც შედგება 7 კრიტერიუმისაგან

1. სწავლების საგნისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების ცოდნა და სწავლების პროცესში ამ ცოდნის გამოყენება;
2. დაგეგმვა;
3. სწავლა და სწავლება;
4. სწავლების დროს შეფასების გამოყენება;
5. სასწავლო გარემო;
6. კომუნიკაცია;
7. პროფესიული პასუხისმგებლობა.

დანართი 2. ელექტრონული კითხვარი მოსწავლისა და მშობლებისათვის. 1-17 მტკიცებულებით შეფასება ხდება მოსწავლის მიერ, ხოლო 18-27-ის მშობლის მიერ. ამ კითხვარებით ფასდება ყველა საგნის მასწავლებელი.

წარმოდგენილი ინსტრუმენტების ერთობლიობა იძლევა საშუალებას მრავალი კუთხით მოხდეს მასწავლებლის მუშაობის გაანალიზება.

COVID-19 პანდემიის პერიოდში, ონლაინ-სწავლების შედეგების შეფასებისთვის შეიქმნა სპეციალური დაკვირვების ფორმა, რომლის მიხედვით "დისტანციურ/ონლაინ სწავლებაზე დაკვირვების ფორმა", დეპარტამენტის ხელმძღვანელები და ინოვაციური ტექნოლოგიების დეპარტამენტის წევრები ერთობლივად მასწავლებლების მუშაობას აკვირდებოდნენ.

ყოველი წლის ბოლოს მასწავლებლები და საგნობრივი ჯგუფის ლიდერები თვითშეფასების ფორმას ავსებენ. ეს ხელს უწყობს ჩატარებული სამუშაოს გააზრებასა და მომდევნო განვითარების გეგმების დასახვას.

შეფასებისა და ხარისხის ამაღლების პროცესი ამერიკულ უმაღლეს სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს. წლის მანძილზე მასწავლებლების მუშაობა ELEOT-ის ფორმით ფასდება.

ELEOT ფორმა არის დაკვირვების ინსტრუმენტი, რომელიც აძლევს შეფასების საშუალებას რამდენიმე მიმართულებით:

1. სამართლიანი სასწავლო გარემო;
2. მაღალი მოლოდინების გარემო;
3. მხარდამჭერი სასწავლო გარემო;
4. აქტიური სასწავლო გარემო;
5. პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის გარემო;
6. კარგად უზრუნველყოფილი სასწავლო გარემო;
7. ციფრული სასწავლო გარემო.

გაკვეთილებს ესწრებიან არა მხოლოდ ადმინისტრაციის, არამედ აკადემიური პერსონალის ის წარმომადგნლები, რომლებმაც გაიარეს ELEOT-ის დამკვირვებლის Cognia-ს ELEOT Certification ტრენინგი და მიიღეს დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ამერიკული უმაღლესი სკოლა აკრედიტებულია საერთაშორისო მააკრედიტებელი ორგანოს - Cognia-ს მიერ. აკრედიტაციის გასაახლებლად, სკოლა 5 წელიწადში ერთხელ სრულ შეფასებას გადის. შეფასების ფარგლებში სკოლას უცხოელი ექსპერტების ჯგუფი სტუმრობს. ბოლო ასეთი ვიზიტი 2020 წლის თებერვალში განხორციელდა. ამერიკულმა უმაღლესმა სკოლამ მაღალი შეფასება მიიღო.

უმეტეს კრიტერიუმებში (მისია და მიზანი, პოლიტიკების ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობების და როლების განაწილება, სწავლა-სწავლების პროცედურები, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, პოზიტიური სასწავლო გარემო, მაღალი მოლოდინების ჩამოყალიბება სწავლებისას, სტანდარტებთან შესაბამისობა, საუნივერსიტეტო ორიენტაცია, მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა, შეფასების პროცესი, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, პერსონალის კვალიფიციურობა, რესურსებით უზრუნველყოფა და სტრატეგიული დაგეგმვა). აკრედიტაციის განახლებიდან 2 წელიწადში

სკოლა ვალდებულია შუალედური შეფასება გაუგზავნოს მააკრედიტებელ ორგანოს მიმდინარე მოვლენების შესახებ. 2018 წელს ევროპულმა სკოლამ და, შესაბამისად, ამერიკულმა უმაღლესმა სკოლამ მიიღო CIS-ის აკრედიტაცია. მას შემდეგ, ყოველწლიურად მიმდინარეობს CIS-ის სტანდარტების და რეკომენდაციების მიხედვით გაუმჯობესების გზების დაგეგმვა და ყოველწლიური ანგარიშის გაგზავნა მააკრედიტებელ ორგანოში. ევროპული სკოლა აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო კვლევებში. 2018 წელს სკოლა მონაწილეობდა PISA 2018 და TALIS 2018 საერთაშორისო კვლევაში. ამ კვლევას ახორციელებდა თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია. საგანმანათლებლო სფეროში ყველაზე ფართომასშტაბიანი კვლევაა, მასში მონაწილეობდნენ 15 წლის მოსწავლეები. PISA აფასებდა მოსწავლეების მზადყოფნას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და მოსწავლეთა მიღწევას მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და კითხვის უნარში. PISA-სა და TALIS-ის შედეგად მოპოვებულ მონაცემთა ანალიზი საშუალებას იძლევა სასკოლო სისტემაში არსებული მდგომარეობის შეფასებისა. 2018 წელს ევროპული სკოლამ სამომავლო გეგმების გათვალისწინებით, გაფართოებისა და იმიჯის ამაღლების მიზნით, დაგეგმა რამდენიმე კომპონენტიანი კვლევა: ,,კმაყოფილებისა და კმაყოფილების განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა“. გამოცდებისა და შეფასების ცენტრის რეკომენდაციით 2021 წლის აპრილიდან ევროპული სკოლა ჩაერთო მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამის (PIRLS 2021) ძირითად კვლევის ჩატარებაში. შეფასება ჩატარდება საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) მიერ. კვლევის შედეგები გაანალიზდება და გამოყენებულ იქნება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ELEOT-ის შედეგების ანალიზი; • ELEOT-ის დაკვირვების ფორმა; • ევროპული სკოლის მასწავლებლის პროფესიული განვითარების, სტატუსის მინიჭების და შენარჩუნების წესი; • Cognia-ს აკრედიტაციის მოხსენება/ანგარიში; • მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 59